ეროვნული ბიბლიოთეკა

აპრილი
1939 წ.
№ 156
პარიზი

# დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante
Revue mensuelle
AVRIL
1939 — № 156
Paris

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—რუზველტის ეპისტოლე.
ი. სალაყაია—ევროპა დიდი ომის შემდეგ.
ა.—ჩვენ და ისინი.
ნიკოლოზ (კოკი) დადიანი.
მ. უბირია—კეთილშობილი ადამიანი...
ს. ფირცხალავა—მესხეთი.
ნ. ი.—რუსეთის თურქთა ეროვნული ბრძოლა.
ნაური—წერილი ამერიკიდან. და სხვ.

## რუზველტის ეპისტოლე

ჩვენ ისევ დიდი საერთაშორისო გართულების წინა ვსდგევართ. დღის წეს რიგში სდგას მთელის თავის სიმკაცრით ომისა და ზავის საკითხი და ყოველ წუთში უნდა მოველოდეთ მის გადაწყვეტას. გარეგნულად თუ დააკვირდით, თითქო ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ომი გარდაუვალია, და ერებიც შეურიგდენ თავის ბედს და არ იჩენენ იმ გაშეშებას, რომელიც ახასიათებდა სექტემბრის დღეებს.

აი, ამ საბედისწერო დროს პრეზიდენტი რუზველტი მიმართავს განსაკუთრებული ეპისტოლეთი ჰიტლერს და მუსოლინს, და მთელი კაცობრიობაც მოუთმენლად უცდის მათ პასუხს. რუზველტის წინადადება მარტივია: იმის ნაცვლად, რომ ომით გადაჭრათ დავა დემოკრატიულ სახელმწიფოებთან, მოლაპარაკებითა და ურთიერთი დათმობით მოაგვარეთ იგიო. მაგრამ, ვინაიდან ამას დიდი დრო და მშვიდობიანი ატმოსფერა დასჭირდება, ათი წლის თავდაუსხმელობის პირობა დასდევით მოპირდაპირეებთანო. ეპისტოლეში ჩამოთვლილია ბევრი სახელმწიფო, რომელნიც უზრუნველყოფილ უნდა იქმნენ თავდასხმისაგან, და მათ შორის დასახელებულია საბჭოთა კავშირიც.

უკანასკნელი, როგორც ხედავთ, მშვიდობიანობის მოყვარული დემოკრატიული სახელმწიფო ყოფილა! რატომ უნდა გაგვიკვირდეს ამის შემდეგ, რომ კაცობრიობა ვერ აღწევს აქამომდე ნამდვილ ზავსა და მშვიდობიანობას? ნუ ვიტყვით იმასაც, ვითომ ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოებმა არ იციან, რას წარმოადგენს სინამდვილეში საბჭოთა კავშირი. არა, მათ ეს ჩინებულად იციან, თვით რუზველტის ადმინისტრაცია, ისე როგორც პარლამენტის საანკეტო კომისია, დიდის ენერგიით იძიებს ბოლშევიკების დამნგრევ მუშაობას ჩრდილოეთის შეერთებულ შტატებში და იღებს სასტიკ ზომებს მის წინაამდეგ.

მაშ რაშია საქმე, რატომ ჩასჭიდებიან საბჭოთა კავშირს და დაჟინებით ეპატიჟებიან მას ეგრედ წოდებულ დემოკრატიულ ბლოკში? იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ვერ გადაეჩვიენ თავის ძველ წარმოდგენას რუსეთზე და, მიუხედავად აუარებელი ფაქტისა, რომლითაც ბოლშევიკები სულ წინაამდეგს ამტკიცებენ, ისინი მაინც ოცნებობენ მათთან დამეგობრებას! ნუ დაივიწყებთ რუსეთის იმპერიის როლს წარსულში, მის უმისოდ ვერც ერთი დიდი კითხვა ვერ გადაწყდებოდა ევროპასა და აზიაში. რას ვხედავთ დღეს? ფაქტიურად ის გამორიცხულია საერთაშორისო კონცერტიდან. ომია შორეულ აღმოსავლეთში, სამოქალაქო ომი იყო ისპანიაში, შუაგულ ევროპაში მოხდა ვერსალის რუკის ნაწილობრივი გადასინჯვა და საბჭოთა რუსეთი არსად სჩანდა, არავინ ეკითხებოდა მას, არ ირევდა. რასაკვირველია, ჩვენ არ ვამბობთ კომინტერნის მუშაობაზე ყველგან და ყოველ წუთში, მაგრამ სწორედ ეს იყო უმთავრესი მიზეზი საბჭოთა გარიყვისა. ჩვენ რომ კითხვის გაღრმავება გვსურდეს, იმასაც ვიტყოდით, რომ სულ თავდაპირველად ევროპის ორ ბანაკად გაპობა ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების აღებამ გამოიწვია.

მაგრამ დავუბრუნდეთ ომისა და ზავის კითხვას. განა მტკნარი და უაღრესად მავნე ილუზია არ იყო, როცა ვერსალის ავტორები მშვიდობიანობის დამყარებას ფიქრობდენ და ხმელეთის მეექვსედს ღვთის ანაბარად სტოვებდენ? იმის მაგიერ, რომ მთელის ძალღონით დახმარებოდენ ძველი რუსეთის ნანგრევებზედ დაარსებულ ახალ ეროვნულ სახელმწიფოებს, ისინი მეტ შემთხვევაში მათ დაცემას უწყობდენ ხელს, და ბოლოს იცნეს კიდეც ბარბაროსული რეჟიმი მოსკოვიტებისა. მას შემდეგ ვიცით კიდეც, როგორ გავერანდა ეს ვეება ტერიტორია, რამდენი მილიონი ხალხი დაიღუპა სიმშილისგან, ტყვიისაგან, გადასახლებისგან, ძალდატანებითი შრომისაგან... დღესაც ხომ, სულ ცოტა, ექვსი მილიონი ადამიანი ითვლება საკონცენტრაციო ბანაკებში. არარუს ერთა საშინელი დევნა და მათი გადაგვარების ცდა კიდევ სხვაა.

დემოკრატიული სახელმწიფოები თვალს იხუჭავენ ამ გაუგონარი ამბების წინაშე და გაორკეცებული ენერგიით ცდილობენ წითელ მოსკოვთან სამხედრო კავშირის დადებას. როცა ამ სტრიქონებს ვსწერთ, ჩვენ კიდევ არ ვიცით, რა სახისა და შინაარსის იქნება ეს კავშირი, მაგრამ მისი მიღწევა თითქო არავისთვისაა საეჭვო. არ ვიცით ისიც, როგორი დამოკიდებულება ექნება პოლონეთს ამ ახალ კომბინაციასთან; ის უკვე შეუთანხმდა ინგლისა და საფრანგეთს თავდაცვის საქმეში, მაგრამ გაურბოდა ასეთსავე შეთანხმებას მოსკოვთან. ინგლისი და საფრანგეთი თურქეთთანაც აწარმოებენ მოლაპარაკებას და უნდათ, მთელი ბალკანეთის ანტანტა (თურქეთი, საბერძნეთი, რუმინია, იუგოსლავია) საერთო თავდაცვის ბლოკში მოაქციონ.

როგორც მოსალოდნელი იყო, სამთა ღერძიც არ რჩება უმოქმედოდ. ჯერ იყო და ალბანეთის ოკუპაციით იტალიამ ფრიად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი აიღო, საიდანაც ის ემუქრება სალონიკს და იმავე დროს სჭრის იუგოსლავიას ბალკანეთის ანტანტისაგან. იუგოსლავია, იტალიისა და გერმანიის შუა მოქცეული, ცხადია, მოკლებულია თავისუფალი განძრევის საშუალებას და შესაძლოა, რომ ის ხიდად გახდეს მეზობელ ბულგარიასთან ღერძის სახელმწიფოთა დასაკავშირებლად. ამ შემთხვევაში თურქეთი უთუოდ იგრძნობს საშიშროებას ხმელეთით, ე. ი. ფრაკიის გზით. მაგრამ გერმანიას სურს, ძველ მოკავშირესთან საერთო ენა გამონახოს და გზავნის ანკარაში თავის ნაცად დიპლომატს ფონ პაპენს. აღსანიშნავია ისიც, რომ უნგრეთი უკვე მიეკედლა სამთა ღერძს, მზადაა მოურიგდეს იუგოსლავიას საზღვრების საკითხში და მთელის თავის ძალებით რუმინიას მიადგეს კარზე, რადგან სწორედ მას მიაკუთვნა ვერსალმა უნგრეთის ისტორიული ტერიტორიის დიდი ნაჭერი.

ჩვენ შეგვეძლო ამ არაჩვეულებრივ დიპლომატიურ ჭიდილზე სიტყვა გაგვეგრძელებია, მაგრამ. სულ ერთია, მაინც ვერ ამოვწურავდით მას. მით უფრო, რომ ყოველ დღე ახალი ფაქტების წინაშე ვსდგევართ. ხოლო ამ ფაქტთა შორის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლევა იმ სიტყვას, რომელიც უნდა წარმოსთქვას ჰიტლერმა 28 აპრილს რუზველტის საპასუხოდ. მსოფლიოს მთელი პრესა, თვით მთავრობებიც ბევრსა ცდილობენ წინდაწინ გამოიცნონ ამ სიტყვის დედა-აზრი და საერთო გეზი. ჩვენ ვერ ვიკისრებთ გულთმისნობას ამის შესახებ, მკითხველს უკვე გაცნობილი ექნება ჰიტლერის სიტყვა, როცა ეს გაზეთი მიუვა, მაგრამ ვეჭვობთ, რომ მასშიც ყველაფერი გამოაშკარავებული იქმნეს მის განზრახვებზე მომავალში.

მაგრამ ერთი თითქო ამ თავითვე ცხადია, და ეს ამხილა მუსოლინმა თავის დამცინავ სიტყვაში, რომში, მსოფლიო გამოფენის მოწყობის გამო, 1942 წ. ჩვენ არა ვართ ზავის წინაამდეგ, მაგრამ ამისათვის საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა უსარგებლო არისო—სთქვა მან. მაშასადამე, ჰიტლერი ალბად უარყოფითად უპასუხებს რუზველტის კონფერენციაზე, მის შუამავლობასაც არ მიიღებს, მაგრამ არ იქნება წინაამდეგი, თვით დაინტერესებულმა დიდმა სახელმწიფოებმა ითათბირონ სადაო საკითხებზე, მან შეიძლება კიდეც აღნუსხოს უკანასკნელნი. ჩვენთვის თითქმის უეჭველია, რომ მოთათბირე დიდ სახელმწიფოებში ის იგულისხმებს ან პირდაპირ დაასახელებს გერმანია იტალიას და ინგლის-საფრანგეთს. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ის უთუოდ უკუაგდებს მის მონაწილეობას.

თუ ეს პროგნოზი მართალი გამოდგა, აშკარაა, ლონდონი და პარიზი ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებიან. მათ უთუოდ გაუჭირდებათ, მოსკოვის გამორიცხვა სამშვიდობო კონფერენციიდან, როგორც მიუნხენში; ეს მით უფრო, თუ მასთან სამხედრო კავშირში იქნენ შესული. როგორც ხედავთ, ომისა და ზავის საკითხი უკვე უახლოვდება თავის საბოლოო გადაჭრას და მასთან დაკავშირებით, შეიძლება, საბჭოთა კავშირის ყოფნა-არყოფნის საკითხიც გადიჭრას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროპა დიდი ომის შემდეგ

V.

იმ წლებში, როცა ერთა ლიგას საერთაშორისო ასპარეზზე გამარჯვებები ათრობდა, იტალიის მთავარ ყურადღებას ხმელთა შუა ზღვის ნაპირები იტაცებდა; მას როდი ჰქონდა დავიწყებული, რომ მისი წინაპრები—რომაელები—ამ ზღვას «ჩვენს ზღვას» უძახდენ. საუკუნეთა მანძილზე ამ ზღვაზე იტალიის გავლენა შესუსტდა, თითქმის არარად იქცა. მხოლოდ მე 19 საუკუნეში მას ბედმა გაუღიმა, ევროპა-აფრიკის ნაპირებიდან ოსმალეთი განიდევნა, განდევნილის ადგილები სხვებმა დაიჭირეს, იტალიასაც ამ ნაპირებზე ზოგი რამ ერგო, ის იქ მოკალათდა. საცა მოკალათება სხვებს არ დასცალდა, ხოლო ამ ზღვაზე მთავარი ბატონობა საფრანგეთს შერჩა. ინდოეთის დიპყრობის შემდეგ, ამ ზღვაზე დიდი ბრიტანეთის როლიც საგრძნობლად გაიზარდა, საუკეთესო სტრატეგიულ პუნქტებს დაეპატრონა. დიდი ომის შემდეგ, იტალიამ განიზრახა ოკეანეთა შემაერთებელ ზღვის დაპატრონება ან ყოველ შემთხვევაში მაზე გაბატონება. დაინტერესებულ სახელმწიფოთათვის სრულიად შეუმჩნევლად, ამ ზღვაზე უძლიერესი საჰაერო ფლოტი გაიჩინა და ამით სამხედრო ფლოტს დასაყრდნობი მოუპოვა; ეს უკანასკნელი კი ათიოდე წლის განმავლობაში ისეთი სისწრაფით გაიზარდა, რომ როცა ეთიოპიას დასაპყრობად მიადგა, დიდ ოკეანეთა მპყრობელ ინგლისმა, იმ შიშით, რომ ღელეში ჩავიღრჩობიო, იტალიას ომი ვერ გამოუცხადა, ერთა ლიგის მუხლების ამოქმედება უფრო მიზანშეწონილად დაინახა; ხოლო ერთა ლიგის მუხლები ამ ხანებში უკვე ჭლექით იყვნენ შეპყრობილნი და ერთა ლიგის წევრთა შორის ერთმანეთისადმი შური და უნდობლობა სუფევდა. და ამიტომაც იტალიის წინაამდეგ ამოქმედებული სანქციები სუსტი გამოდგა. 1936 წელს 2 მარტს დიდ ბრიტანეთმა სანქციების გასაძლიერებლად საფრანგეთს იტალიის წინაამდეგ ნავთის სანქციები მოსთხოვა. საფრანგეთმა ამ მოთხოვნაზე უარით უპასუხა. ამ მოვლენამ ეს ორი დიდი დემოკრატია ერთმანეთს ისედაც დაშორებული, კიდევ უფრო დააშორა. ამის შემდეგ იტალიის ჯარის წინაამდეგ აღმართული დაბრკოლებები შესუსტდა და იტალიამ 1936 წელს 2 მაისს ადდის-აბება აიღო და ფაქტიურად ეთიოპიის ბატონ-პატრონი გახდა. ადდის-აბების აღებამ, საფრანგეთ-დიდ ბრიტანეთის შორის ხელახლა შავი კატის ჩარბენამ და საერთოდ ევროპის დაქსაქსვამ გერმანიას ხელი შეუწყო, ადდის-აბების აღების შვიდი დღის შემდეგ, რენანის რეოკუპაცია მოეხდინა. ამ რეოკუპაციამ, საფრანგეთის მხრივ მოსალოდნელი რეაქცია ვერ გამოიწვია და მისი, ფორმალურად შერჩენილ მოკავშირეთა თვალში, საერთაშორისო როლი, კიდევ უფრო საეჭვო შეიქნა.

ეთიოპიასთან ომის დროს, იტალიის წინაამდეგ სანქციების ამუშავებამ იტალია დასავლეთ ევროპას ჩამოაშორა და გერმანიას, რომელიც ამ ომის დროს მისდამი ლოიალობას იჩენდა, დაუახლოვდა. ამ რიგად ჩაისახა ეგრედ წოდებული რომი-ბერლინის ღერძი, რომელიც გახდა ერთ ხანად მაინც, ამ ორი სახელმწიფოსი საგარეო პოლიტიკის საფუძველი. იტალიის ბერლინთან დაახლოვება თავის თავად ნიშნავდა სტრეზას ფრონტის მის მიერ დარღვევას. 1937 წელს იტალია ერთა ლიგიდანაც გავიდა და გერმანია-იაპონიის ანტიკომუნისტურ ბლოკს შეუერთდა.

გადავავლოთ ახლა თვალი, თუ რა ხდებოდა რუსეთში იმ ხანებში, როცა მოსკოვის გავლენა საფრანგეთში ძლიერდებოდა, ევროპას კი არევ დარევა დღითი დღე ემატებოდა.

იმ წლებში, როცა მოსკოვის გავლენა საფრანგეთში უმაღლეს წერტილს აღწევდა და ჩიხში მოქცეული ევროპა გამოსავალს ვერ პოულობდა, თვით რუსეთი ღრმა და საშინელ კონვულსიებში იგრიხებოდა. რუსეთის ცხოვრების ზედაპირზე თანდათან ამოტივტივდა დიქტატორული რეჟიმის სრული სიდამპლე და დაკნინება, სახელმწიფო ცხოვრების ყველა დარგების საშინელი რღვევა და განადგურება, რაც უფსკრულისკენ დაქანებულ რეჟიმისადმი მთელი ქვეყნის სიძულვილ-გაბოროტებას იწვევდა. მოსკოვის რეჟიმი მოსწყდა მთელს მოსახლეობას, მოსწყდა იმდენად, რომ მის თვალში ის მოღალატედ და ჯაშუშად გადაიქცა და ამ მოღალატეთა და ჯაშუშთა მეთაურებად, დიქტატურამ ქვეყნის გუშინდელი მართველები გამოაცხადა. ამ მეთაურთა დასაქლეტად მთელს თვალუწვდენელ სივრცეზე, ერთი პროცესი მეორეს მისდევდა. სტალინის რეჟიმმა არ დაზოგა არც გუშინდელი მართველნი, არც ჯარის, არც დიპლომატიის, არც სხვა დარგთა ხელმძღვანელნი. ორი წლის მანძილზე, კოშმარულ პროცესებმა და ათასობით და ათი ათასობით პროცესებს გარეშე მომხდარ დახვრეტებმა მთელი კაცობრიობა შეანძრია. თუ რუსეთის სინამდვილე რა ჯოჯოხეთის წარმოადგენს, თვით დაბრმავებულებმაც კი დაინახეს. საფრანგეთის უმრავლესობაშიც მოსკოვის რეჟიმის ხანგრძლივობის და საერთოდ რუსეთის სიძლიერის იჭვები შეიპარა. რუსეთისადმი უნდობლობა საფრანგეთში თანდათან გაძლიერდა და რომ მოსკოვს ნათლად დაენახა, მისდამი საფრანგეთის განწყობილება 1937 წლის ბოლოს, თავისი საგარეო საქმეთა მინისტრის—დელბოსის—სახით, საუცხოო ანტირუსული დემონსტრაცია გაუკეთა. ბ-ნი დელბოსი ფორმალურად შერჩენილ საფრანგეთის მოკავშირე სახელმწიფოებს ესტუმრა, ხოლო მოსკოვს, უახლოეს მოკავშირეს, გვერდში ჩაუარა, რუსეთს არ წაეკარა და ამ რიგად საფრანგეთში მოხდა მოსკოვის წინაამდეგ, თუ არა მთლიანი, ნაწილობრივი მაინც გადატეხა და ამ გარემოებამ ხელი შეუწყო, ინგლის-საფრანგეთს შორის არსებული იდუმალი ბრძოლა შენელებულიყო და მათ შორის დამოკიდებულება გაუმჯობესებულიყო.

ევროპაში ახალი მოვლენაც დატრიალდა, რომელმაც ინგლის-საფრანგეთი უფრო მჭიდროდ დააკავშირა. ეს იყო ავსტრიის მიერ 11 მარტს 1938 წ. დამოუკიდებლობის დაკარგვა. ავსტრია გერმანიამ შემოიერთა. გერმანიის მიერ ავსტრიის შემოერთება ფაქტიურად გზებს სწყვეტდა დასავლეთ ევროპასა

ერთის მხრივ და შუა და აღმოსავლეთ ევროპას შორის მეორე მხრივ, რაც როგორც საფრანგეთის, ისე დიდ ბრიტანეთის საარსებო ინტერესებს ემუქრებოდა.

ინგლის-საფრანგეთმა პირი იბრუნეს ერთმანეთისაკენ და დიდი ომის შემდეგ დიპლომატიურ კონფერენციებზე თუ ერთა ლიგის კულისებში ამოხეთქილი უთანხმოებანი დაივიწყეს და დაახლოვებით ის კავშირი აღადგინეს, რაც ამ ორ სახელმწიფოს 1903 წლიდან აერთებდა. ანშლუსს შედეგად, დიდი ვაი ვაგლახით აგებული იტალია-ავსტრია უნგრეთის სისტემის რღვევაც მოჰყვა, რომელზედაც აშენდა უნგრეთ-იტალიის მთელი დუნაის პოლიტიკა. პოლიტიკურ-ეკონომიურ თვალსაზრისით დაინგრა რომის პროტოკოლები. რომი შესუსტდა, სამაგიეროდ გერმანიის პოლიტიკურ-ეკონომიური გავლენა გაძლიერდა. გერმანიის გავლენის გაძლიერებამ ბერლინ-რომის ღერძი საკმაოდ მოშალა. ეს გარემოება ინგლისმა ისარგებლა და თავისი პოლიტიკაც იტალიის მიმართ ასი პროცენტით შეატრიალა.

სანამ ევროპაში ერთა ლიგის პრინციპებს და კოლექტიური უზრუნველყოფის საკითხს საერთაშორისო ხასიათი ჰქონდა, დიდი ბრიტანეთი ამ პრინციპებს დარაჯად ედგა. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იდენიც, ამ პრინციპების ცოცხალი განსახიერება იყო. იდენი ლიგის პრინციპებით უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით იტალიის გაძლიერებას ებრძოდა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში შეურიგებელი რჩებოდა. ხოლო ამ პრინციპებით ბრძოლით ინგლისმა სასურველ შედეგებს ვერ მიაღწია და იტალია-ინგლისის დამოკიდებულება დღითი დღე მწვავდებოდა. რაკი ანშლუსმა ბერლინ-რომის ღერძი შეასუსტა, ინგლისმა იტალიის მიმართ პოლიტიკა შესცვალა, რომელსაც შედეგად ბ ნ იდენის გადადგომა მოჰყვა. ინგლისმა იტალიის მიმართ შეურიგებლობის პოლიტიკა უარჰყო. შეთანხმების გზას დაადგა და იტალიასთან შესათანხმებლად, საჭირო ნაბიჯებიც გადადგა, რასაც შედეგად 16 აპრილს 1938 წელს ინგლის-იტალიის შეთანხმების აქტი მოჰყვა.

ანშლუსის შემდეგ, ინგლისი ღრმად ჩაეჭიდა, შუა, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის საქმეებსაც. ამ მხარეებში გერმანიის გავლენის გაძლიერებით დარღვეულ წონასწორობის აღდგენას შეუდგა; დიპლომატიური თუ ფინანსურ-ეკონომიური საქმიანობა გააძლიერა, ევროპის ამ კუთხეებში ანშლუსით დაშინებულ ერების ინგლის-საფრანგეთის გავლენის ქვეშ მოქცევას შეეცადა. მან მოხერხებულად გამოიყენა რუმინიაში «რკინის გვარდიის» საქმეებთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობა და ინგლის-საფრანგეთის გავლენა რუმინიაში გაიბატონა. მანვე მთავარი როლი ითამაშა საფრანგეთ-თურქეთის შეთანხმებაში. იმავ ინგლისმა დიდი აქტივობა უნგრეთში გამოიჩინა და ლედის კონფერენციამ მისივე ზეგავლენით უნგრეთი და მცირე ანტანტა ნაწილობრივ მაინც შეათანხმა. სალონიკის 31 ივლისის 1938 წლის ბულგარიასა და ბალკანეთის ანტანტის შორის შეთანხმებაც მისივე გავლენას მიეწერება.

დიდი ბრიტანეთის 1938 წლის პირველ ნახევარში გაცხარებულ ამოქმედებას ინგლის-საფრანგეთის ირგვლივ შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ასაწყობად, გერმანია გულზე ხელებ დაკრეფილი როდი შესცქეროდა. ის იმავ ქვეყნებში, სადაც ინგლისი მოქმედებდა, მოქმედებას აორკეცებდა და ბოლოს დასავლეთ ევროპიელთა და რუსეთის მთავარ სიმაგრეს—შუა ევროპაში—ჩეხოსლოვაკიას მიადგა, რომლის სახელმწიფოებრივი რღვევა ისეთი სისწრაფით მოხდა, რომ კინაღამ მთელი კაცობრიობა თან გადაიყოლა. მიუნხენის 30 სექტემბრის ევროპის ოთხი უდიდესი სახელმწიფოს შეთანხმებამ, კაცობრიობა არა მარტო კატასტროფიდან იხსნა, ამ დღიდან რადიკალურად შეიცვალა მთელს ევროპაში პოლიტიკური და სტრატეგიული ძალთა დამოკიდებულება; ამ დღეს შუა ევროპის მთავარ ფაქტორად გერმანია, სამ დიდ სახელმწიფომ აღიარა. შესაძლოა, ამ შეცვლილ მდგომარეობამ ევროპის დიდი სახელმწიფონი მიიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ არა მათ შორის შურს და მეტოქეობას, რომელიც როგორც ვნახეთ ზავის ჩამოგდებიდან გრძელდება, არამედ შეთანხმებებს და დათმობებით სადავო საკითხების გადაწყვეტას შეუძლია ევროპაში მშვიდობიანობის განმტკიცება...

ი. სალაყაია.

## ჩ ვ ე ნ დ ა ი ს ი ნ ი

ქართულ «კავკასია»-ს მარტის ნომერში ბ-ნი რ. გაბაშვილი ერთხელ კიდევ უბრუნდება საზღვრების საკითხს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ამ საკითხში ჩვენი და ბამატისტების პოზიცია ერთი და იგივეა.

საზღვრების საკითხში ქართველ ბამატისტების პოზიცია უკლებლივ ბამატურია. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რასაც ბამატი სწერდა ბათუმის შესახებ, მაშინ ადვილი მისახვედრი იქნება ნამდვილი აზრი ბამატის მერმინდელ განცხადებისა, რომ «კავკაზ»-ის მიმართულება სცნობს სამხრეთის იმ საზღვრებს, რომელიც დღეს არსებობს კავკასიასა. თურქეთსა და ირანს შორის. ამ განცხადების პირდაპირი აზრი ის არის, რომ «კავკაზ»-ის მიმართულება თურქეთს საზღვრების შესახებ არ ედავება, მისგან არაფერს მოითხოვს, მაგრამ მას კი თავაზობს უფლებას, ზოგი რამ მოითხოვოს მოსაზღვრე ქვეყნებიდან. ბამატმა პირველმა წამოაყენა საზღვრების საკითხი და სადაოდ აღიარა საქართველოს უფლება ბათუმზე. მან ავტორიტეტული კილოთი განგვიმარტა, რომ ყარსა და არტაან-ართვინს ბათუმის პორტი ჭირდება და კავკასიას დასჭირდება შესაფერი «მოდუს ვივენდი» გამონახოს თურქეთთან. ეს «მოდუს ვივენდი» უთუოდ ნიშნავს იმას, რომ საქართველომ, თუ სულ არა, ნაწილობრივ მაინც თურქეთს დაუთმოს თავის უფლებები ბათუმზე. ამის შემდეგ ბ ნი გაბაშვილი წარბშეუხრელად აცხადებს, რომ «კავკაზ»-ისა და ჩვენს პოზიციებს შორის «ერთი და იგივეობაა».

ბ-ნი გაბაშვილი და სხვა ქართველი ბამატისტები განზრახ იბრმავებენ თვალებს და არ უნდათ გაიგონ, რომ მათი შეფის ბამატის მტრობა საქართველოსადმი გუშინდელი ამბავი არ არის. შარშან ჩვენმა გაზეთმა ქართველ ემიგრაციის საყურადღებოდ სხვათა შორის გამოაქვეყნა ერთი დოკუმენტი. ეს არის ბამატის ნოტა, რომლითაც მან მიმართა საქართველოს მთავრობას ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჩვენ ყველანი ჩვენს ქვეყანაში ვიყავით, და მოითხოვდა, რომ საქართველოს თავისი ჯარები გაეყვანა აფხაზეთიდან; ამ უკანასკნელს კი აცხადებდა მთიელთა რესპუბლიკის კუთვნილ ტერიტორიად. არ შეიძლება, რომ ქართველი ბამატისტები ამ დოკუმენტს არ იცნობდენ; მაშ რით აიხსნება, რომ ისინი თავგამოდებით იცავენ ბამატს და მის შეფობას ცნობენ?..

ქართულმა «კავკასია»მ და რუსულმა «კავკაზ»მა მოათავსეს ვლ. ემუხვარის წერილი; მოათავსეს ისე, რომ შენიშვნაც კი არ გაუკეთეს. ეს იმას ნიშნავს, რომ დასახელებულ გამოცემათა ხელმძღვანელები იზიარებენ წერილში გამოთქმულ შეხედულებებს. ბ-ნი ემუხვარი გამოდის თურქეთის არამკითხე ვექილად და ამტკიცებს, რომ ყარსის ხელშეკრულება, რომლითაც მოსკოვის ტფილისელმა აგენტებმა საქართველოს ტერიტორიის მოზრდილი ნაკვეთი თურქეთს მიაკუთვნეს, საქართველოსათვის დიდი სიკეთეა. ამ უკუღმართი აზრის დასამტკიცებლად ბ-ნი ემუხვარი იხსენებს 1918 წელში დადებულ ბათუმის ხელშეკრულებას. «თანახმად ბათუმის ხელშეკრულობისა ბათუმი, ახალციხე, ახალქალაქი იყო თურქეთის ტერიტორია და არა საქართველოსიო»... , გვიხსნის მეცნიერის პრეტენზიების მქონე ვექილი და განაგრძობს: «ყარსის ხელშეკრულობით, ნაწილი იმ ტერიტორიისა, რომელიც «მენშევიკურმა» საქართველომ ბათუმის ხელშეკრულობით დაუთმო თურქეთს—უკან დაიბრუნა; დაიბრუნა ბათუმი, ახალციხე, ახალქალაქი». ბ. ემუხვარს რომ ცოტა კეთილსინდისიერება გამოეჩინა და თავის მეხსიერებისათვის ოდნავი ძალა დაეტანებია, ადვილად გაიხსენებდა, რომ ბათუმის ხელშეკრულობა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობასთან ერთად გააუქმა ვერსალმა. ბათუმის ხელშეკრულობით დაკარგული ტერიტორიის ნაწილი თურქეთის დამარცხებისთანავე დაიბრუნა საქართველომ; მეორე ნაწილი ბათუმის შიგ ჩართვით დაიკავა ინგლისმა. მაგრამ ბოლოს ეგ ნაწილიც საქართველოს დაუბრუნეს. 1921 წელში, იმ დროს, როდესაც საქართველოს თავს დაესხენ მოსკოვის ურდოები, ბათუმი, არტაანი, ართვინი, ახალციხე და ახალქალაქიც საქართველოს ტერიტორიას შეადგენდა და არა თურქეთისა. ყველაფერი ეს ახლო წარსულის ისტორიაა და ემუხვარის მიერ მისი ასე ადვილად დავიწყება მიეწერება მხოლოდ აბლაკატურ ხრიკებს. ყარსის ხელშეკრულობამ კი არ დაუბრუნა რამე საქართველოს, არამედ ჩამოართვა მას ტერიტორიის მოზრდილი ნაწილი. ქართველი ხალხი არ ცნობს მოსკოვის საოკუპაციო ხელისუფლებას, ცხადია იგი არ იცნობს არც იმ ხელშეკრულობებს, რომლითაც ამ ხელისუფლებამ გასცა საქართველოს ტერიტორიის ნაწილები. სხვას რომ თავი გავანებოთ, საოკუპაციო ხელისუფლების მიერ დადებულ ერთი რომელიმე ხელშეკრულობის ცნობა იქნება მეტად სახიფათო პრეცენდენტი. მან ყარსის ხელშეკრულობის გარდა სხვა ხელშეკრულობებიც დასდვა და მთელი საქართველო მოსკოვის კუთვნილ კოლონიად აქცია. ბ-ნი ემუხვარის ლოღიკას რომ გავყვეთ, დღევანდელი საქართველოს მთელი ტერიტორია არის ელემენტი რუსეთის «ტერიტორიალური ინტეგრიტეტისა». მაშასადამე საქართველომ ესეც უნდა იცნოს და ხელი აიღოს თავის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე, რომ შელახული და შეურაცხყოფილი არ იქნეს ბ-ნ ემუხვარის მეცნიერული იურისპრუდენცია.

ბ-ნი გაბაშვილი განსაკუთრებით საზღვრების საკითხს აწვება, თითქოს ეგ საკითხი შეადგენდეს ერთად ერთს განსხვავებას ჩვენსა და «კავკასია»-«კავკაზს» შორის. სხვას რომ არა ვთქვათ რა, კარდინალურ განსხვავებად ის მიდგომაც კმარა, რომელსაც ისინი იჩენენ საქართველოს ხანმოკლე დამოუკიდებლობისადმი. ჯერ იყო და ბ-ნმა ავალიშვილმა ცინიკური დაფასება მისცა ამ დამოუკიდებლობას თავის ცნობილ წიგნში. კავკასიის ერთი თანამშრომელი—ბ-ნი ამირეჯიბი ბ-ნ ავალიშვილს ამ წიგნისთვის დიდ ქება დიდებას ასხამს და —შეგვიძლია გაბედულად ვთქვათ,—შეგნებულად უვლის გვერდს იმ ფაქტს, რომ ბ-ნ ავალიშვილის ეს წიგნი მხოლოდ ბოლშევიკებმა ისარგებლეს; ბ-ნმა ავალიშვილმა გააკეთა ბოლშევიკების საქმე, ბ-ნი ამირეჯიბი კი ამას მას დიდ დამსახურებად უთვლის.

«კავკაზ»-«კავკასია»-ს ფურცლებზე სამუსულმანო საქართველოსაც შეეხო ბ-ნი ავალიშვილი და აქაც თავისებური მარგალიტები გადმოალაგა. ამ «მეცნიერს» ტენდენციური პასკვილების წერა უფრო ეხერხება, ვინემ მეცნიერული მიუდგომლობის გამოჩენა. მისი უკანასკნელი პასკვილები ემყარება დაინტერესებული მხარის განცხადებებს და სტატისტიკურ ცნობებს. ამ საეჭვო საბუთებით ამტკიცებს იგი, რომ თურქეთის ფარგლებში მოქცეულმა მუსულმან ქართველობამ ერთბაშად დაივიწყა ყოველივე ქართული და თვით ქართული ენაც. ბ-ნ ავალიშვილს რომ სიმართლე აინტერესებდეს, იგი შეამოწმებდა მის მიერ ტენდენციურად შერჩეულ საბუთებს და ადვილად დარწმუნდებოდა, რომ საქმე ისე ტრაღიკულად არ არის, როგორც მას უნდა რომ იყოს. ქართველი ასე ადვილად არ ივიწყებს თავის ქართველობას. არიან ქართველები, რომელნიც საქართველოში რუსეთის დამკვიდრების მიზეზით 60-70 წლის წინედ გადასახლებულან ჩვენს მეზობელ ქვეყნების შუაგულში.—საქართველოდან საკმაოდ შორს. ისინი შეადგენენ მთელ სოფლებს; სახლში და მეზობლობაში დღემდე ლაპარაკობენ ქართულ ენაზე, რომელსაც ისინი სრულიად საფუძვლიანად დედა ენას უწოდებენ.

«კავკასია»-«კავკაზი» წამ და უწუმ იმეორებენ: «მენშევიკური საქართველო», «მენშევიკური დამოუკიდებლობა» და სხ. ამით ფიქრობენ დაამცირონ საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ ეს ხომ

იმავე დროს საქართველოს დამცირებაა? 1918 წელში გამოცხადებულ დამოუკიდებლობას შეხაროდა მთელი ქართველი ერი, ყოველი ქართველი—«მეშევიკი» და «არამენშევიკი»; ყველა ამ დამოუკიდებლობას თავის დიდ გამარჯვებად თვლიდა, მას დღესასწაულობდა. მხოლოდ «კავკაზ»-«კავკასიას» პატრიოტებს შეუძლიათ აბუჩად აიგდონ ქართველი ხალხის უწმინდესი გრძნობები...

მაგრამ სხვა რა მოეთხოვება იმ ხალხს, რომელნიც გვერდში უდგანან იმ ბამატს, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებელ ფეხზე დადგომის წამიდან დღემდე ჩვენი ქვეყნის მტრობის მეტი არა გამოუჩენია? საქართველოს მტრის გვერდით დგომა და მისი დაცვა, ისიც განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, განა ღალატს არ უდრის? და ყველაფერი ეს განა მარტო საზღვრების საკითხია?..

ჩვენ საჯაროდ ვლაპარაკობთ, რომ ვიბრძვით საქართველოს და მთელი კავკასიის დამოუკიდებლობის აღსადგენად მის დღევანდელ საზღვრებში. ჩვენ ვებრძვით რუსეთს. ჩვენი გარდაუვალი მიზანია თავი გავინთავისუფლოთ მოსკოვის უღლიდან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ გვექნება მოსაგვარებელი ესა თუ ის საკითხი ჩვენს მეზობლებთან და მათ შორის თურქეთთანაც. ასეთი საკითხების მოგვარება, თურქეთთან ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს არა ომითა და იარაღით, არამედ მეგობრულ მეზობლური მოლაპარაკების გზით, ურთიერთის და საერთო ინტერესების გაგებითა და პატივისცემით. ჩვენ გვწამს, რომ დამოუკიდებელი კავკასიის არსებობა თურქეთის ინტერესსაც შეადგენს. თუ ეს ჩვენი რწმენა უსაფუძვლო და შემცდარი არ არის. იმისი იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ თურქეთი ხელს შეუწყობს წავკასიას, რათა უკანასკნელს აღმოაჩინდეს ის საშვალებები და პირობები, ურომლისოდ დამოუკიდებლობა შეუძლებელი გახდება. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული იმაშიც, რომ თურქეთსა და კავკასიას შორის შუღლი და მტრობა საბედისწერო იქნება არა მარტო კავკასიისათვის, არამედ თურქეთისთვისაც. ამ შუღლს უთუოდ ვინმე სხვა ისარგებლებს; ეს სხვა მოიგებს. კავკასია და თურქეთი კი დაკარგავენ.

ჩვენი აზრი და პოზიცია ნათელია; იგი არაფრით არ ჰგავს ბამატ-გაბაშვილების პოზიციას, მაგრამ იმავე დროს არავითარ მტრობას არ შეიცავს თურქეთისადმი. კავკასიისა და თურქეთის სასიცოცხლო ინტერესები ერთმანეთს ხვდებიან. მხოლოდ შეერთებული ძალებით შეიძლება შეჩერება და უკან შებრუნება იმ საშინელი ტალღების, რომლებმაც გადმოლახეს კავკასიის ქედი და უცდიან შემთხვევას და ხელსაყრელ პირობებს, რომ დარდანელის ნაპირებსაც ეხეთქონ.

ა.

## ნიკოლოზ (კოკი) დადიანი

აღდგომა და ახალ კვირას შუა. 13 აპრილს, კიდევ მივაბარეთ უცხო მიწას ერთი ცნობილი ქართველი პატრიოტი კოკი დადიანი. სანტ უანის სასაფლაომ. სადაც ჩვენი ეროვნული გმირი ქაქუცა განისვენებს, ერთხელ კიდევ იხილა პარიზისა და მისი მიდამოების მრავალრიცხოვანი ქართველობა. მოსული ძვირფას ცხედართან გამოსათხოვრად. უნდა ითქვას, რომ მარტო ეს გარემოება ნათლად გვაჩვენებდა, თუ რამდენად აფასებდენ და პატივსა სცემდენ ჩვენს კოლონიაში განსვენებულს.



კოკის მხოლოდ გასულ მარტს შეუსრულდა სამოცი წელი, სრულიად არ ეტყობოდა ხნოვანება, იყო მოძრავი და დაუზარებელი, როგორც ახალგაზდობისას, თავაზიანი და თავდაბალი, მიუხედავად შთამომავლობისა. მისი სიკვდილი აღდგომა ღამეს უფრო მიძინებას ჰგავდა, და მეორე დღეს, ვინც მისი გაციებული გვამი ნახა ჩოხა-ახალოხში. ვერც კი დაიჯერებდა, რომ ის უკვე ამ ქვეყანას არ ეკუთვნოდა.

ს. ბერეჟიანმა, მისმა ერთგულმა თანამშრომელმა, საუცხოოდ დაგვიხატა. თავის შინაარსიან სიტყვაში კოკის პიროვნება, მისი წარსული და აწმყო. კოკი ეკუთვნოდა თავად-აზნაურობის იმ მცირე ნა-

წილს, რომელსაც მაღლა ეჭირა საქართველოს დროშა სამეგრელოში კიდევ ძველი რუსეთის მძიმე ბატონობის დროს. სხვა რომ არა ვსთქვათ, ყველას ახსოვს კავკასიის მართველობის ფლიდი ცდა, რათა სამეგრელო გამოეთიშათ საქართველოსგან ეროვნულად, შემოეღოთ მისთვის მეგრული ალფაბეტი და მწიგნობრობა. ჩვენ ვიცით, როგორ სამარცხვინოდ დამარცხდა ეს ცდა თვით მეგრელების სასტიკი წინააღმდეგობის მეოხებით. კოკი სწორედ ამ მებრძოლი ჯგუფის წინა რიგში იდგა. მარშალი სენაკის თავად-აზნაურობისა, ის მოხერხებულად და დიდის ტაქტით იყენებდა თავის მდგომარეობას, რათა ვოსტორგოვების ავაზაკური გამოწყება ჩაეფუშა.

მზგავსი მოღვაწეობისათვის კოკის სულაც არ ეჭირვებოდა რაიმე წინასწარი მომზადება ან ჩაგონება; შვილი განთქმული თავადის ოჯახისა, ის კიდევ დედის ძუძუსთან ითვისებდა საქართველოს დიად წარსულს, მის ტრადიციებს და მომავლის იდეალებს. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, კოკიმ თვითონაც შემოიღო ბევრი რამ ახალი თავის ოჯახში. ვინც ყოფილა ნოსირში, უნახავს მისი სასახლე, შესანიშნავი ბაღით გარშემორტყმული და შიდ დაკაპიწებული კოკი, უთუოდ მიხვდებოდა, რომ ეს ადამიანი ფიზიკურ შრომაშიც არა ნაკლებ მორალურ კმაყოფილებას ჰპოვებდა. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ კიდევ პირველი რევოლუციის დროს, 1905 წ., ის გლეხების მეთაურად გვევლინებოდა. შემდეგ, 1917 წ. და ჩვენი ქვეყნის თავისუფლების დროს კოკიმ პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, რისთვისაც ის იძულებული გახდა, თავის ოჯახით, უცხოეთში გადმოხიზნულიყო და ეგემა ლტოლვილის მწარე ხვედრი.

კოკი ემიგრაციაშიც ეწეოდა თავის ქვეყნის სამსახურს, მეთაურობდა ერთ-ერთ პატრიოტულ მიმდინარეობას და, როცა დაისვა კითხვა მთელი ქართველობის გაერთიანების შესახებ, ის დაუღალავი დამცველი იყო ამ იდეის. რამდენიმე დღის წინ მისი გარდაცვლისა, ის ბეჯითად ესწრებოდა გამაერთიანებელ სხდომებს და ამით თითქო ანდერძად დაგვიტოვა ამ საჭირბოროტო საქმის რაც შეიძლება ჩქარა დაგვირგვინება.

ჩვენი ორგანო და მისი მკითხველები უღრმეს სამძიმარს ვუცხადებთ უნუგეშოდ დარჩენილ ქ-ნ მერის და მთელს ოჯახობას. ჩვენ გვწამს, რომ ვან თავისუფლებული საქართველო ჩქარა გულში ჩაიკრავს თავის ერთგულს შვილს კოკის.

## კეთილშობილი ადამიანი, მტკიცე მებრძოლი, დიდი პატრიოტი

(ძვირფასი მეგობრის, არზ. ემუხვარის ხსოვნას)

არზაყანი არ იყო გარეგნულად «ბრწყინვალე» პოპულიარობის, ეფექტის კაცი. არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი, ყოყოჩობა, წინა რიგებში წამოსკუპება. მხოლოდ ახლო მეგობრებს, დიდი ხნის კარანტინის შემდეგ გაუხსნიდა თავის უხვს, კეთილშობილს გულს, სავსეს ადამიანის სიყვარულით ღრმა სოციალურ-ეროვნული გრძნობებით და მაღალი იდეალიზმით. ვისაც ეღირსა ერთხელაც არის ამნაირად ჩახედვა არზაყანის მომხიბლავ გულში, არ შეეძლო არ დარჩენილიყო სამუდამოდ მისი მეგობარი და პატივისმცემელი. სწორედ ამ კეთილშობილმა გულმა, წმინდა იდეალიზმმა მიიყვანა არზაყანი სოციალიზმთან და არა თეორეტიულ-აბსტრაქტიულმა მსჯელობამ. მას ჰქონდა მრავალი შესაძლებლობა აერჩია ცხოვრებაში სხვა გზა, ამოირჩია კი ჩაგრულთა მხარე. ხოლო არზაყანი სოციალისტი იმავე დროს ღრმა ნაციონალისტი იყო ამ სიტყვის წმინდა მნიშვნელობით. მტკიცე შეუდრეკელი მოღვაწეობა ამ ორივე მიმართულებით, ჰარმონიულად შეფარდებული,—აი შინაარსი და მიზანი მისი ცხოვრებისა. ვერავითარმა ციხემ, დევნილობამ, დამარცხებამ ის ვერ შეარყია. რამდენი იერიში მოიტანეს მაზე, მის აფხაზობასა და შთამომავლობაზე რუსიფიკატორებმა და მათმა შეგირდებმა—აფხაზეთის ინტელიგენციის პატარა ნაწილმა,—ეგ. წოდ. დიდი წყლის თეორეთიკოსებმა: ჯობია, რომ დიდი რუსის წყალმა წაგვიღოს ვიდრე პატარამაო. ამაოდ. ერთხელ და სამუდამოდ გასცა მათ შემდეგი პასუხი: «მე არ მინდა, აფხაზეთი წაიღოს არც დიდმა და არც პატარა წყალმა, მე მინდა მისი ეროვნული აღორძინება, კულტურულ-ეკონომიური განვითარება. ეს კი შეიძლება მხოლოდ მისი ისტორიულ, ბუნებრივ, ორგანულს ფარგლებში.

არზაყანის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი იყო —ავტონომიური აფხაზეთი თავისუფალ გაერთიანებულ საქართველოში. ავტონომია არა ავანტურისტული მიზნებით—ირედენტის მოსამზადებლად, რუსი მოხელეების კონცეპციით, ან და გამოყოფის განზრახვით—ეს ხომ სწორედ რუსის ზღვაში გაქრობა იქნებოდა; არამედ ავტონომია იმიტომ, რომ აფხაზეთს თავის განსაკუთრებულ პირობების მიხედვით შეეძლოს ხელშეუშლელად სრული ჰარმონიული განვითარება—ეროვნული, კულტურული, ეკონომიური. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ

საქართველოს ფარგლებში; მხოლოდ ამ გზით შეუძლია აფხაზეთს შეინარჩუნოს თავისებურება და ამავე დროს პირდაპირი გზით შეითვისოს ევროპული კულტურა. და ეს იმიტომ, რომ აფხაზეთი ორგანული ნაწილი საქართველოსი—შთამომავლობით, ისტორიულად, ეკონომიკით და ჩვეულებით.

დამჩაგვრელების მხარეზე იყო ვეებერთელა ფიზიკური და ეკონომიური ძალა, არზაყანს კი ჰქონდა —სიმართლე და მორალური ძალა. ყველა მათ თავდასხმაზე უპასუხებდა არა სიტყვით, არამედ გაორკეცებული მოქმედებით, ხშირად კლდის სიჩუმით, მაგრამ მუდამ კლდესავითვე სიმაგრით. მან არ იცოდა შიში, სწორედ თავის მორალური ავტორიტეტი და უშიშრობით გაანიარაღებდა ხოლმე მტერს. როცა 1921 თებერვალს ჩამოვიდა აფხაზეთში რუსის წითელი ჯარი, ჩვენმა ჯარმა კი დაიხია, არზაყანმა უკანასკნელმა დასტოვა სოხუმი რუსების პირველი რიგების ჩამოსვლის შემდეგ. სანამ ის ოჩამჩირეს გასცილდებოდა, იქ უკვე კომუნისტური ხელისუფლება გამოცხადდა (ადგილობრივი). მათ ტელეფონით მიიღეს სოხუმიდან ბრძანება: ემუხვარი მიემგზავრება ავტომობილით, დაიჭირეთო. კიდევაც დახვდენ ამ ტელეფონოგრამით ხელში, დასაჭირავად, მაგრამ ვერ გაბედეს: «წადით, დაიჩქარეთ, შარს ნუ მოგვდებთო».

თან მახსენდება ერთი ფრიად სიმბოლური ეპიზოდი. მომხდარი ოცი წლის წინედ. ეს იყო ჯერ კიდევ ის იდილიური დრო, როცა რუსულ კომუნიზმს არ გამოუაშკარავებია ჯერჯერობით მთლად თავის უხეში იმპერიალისტური ბუნება, ჰქონდა რამდენიმედ იდეოლოგიური მიმზიდველობა. ჩვენში, აფხაზეთის ინტელიგენციაში იყო ერთი სულ მცირე ფრთა. კომუნიზმის მიმდევრების. ეს იყვნენ სალონის კომუნისტები, სრულიად არა მავნებელნი, მთელ დღეს სოხუმის ბულვარში ატარებდნენ. ჩვენში ისეთი წესრიგი და ანტიკომუნისტური სულისკვეთება იყო ყოველგან, რომ ამ სნობების «რევოლუციური» მოქმედებისთვის პოლიციაც თავს არ იტეხდა. შეხვდენ ერთს საღამოს არზაყანს ბულვარზე და რა თქმა უნდა ეკამათეს. ამ საუბრის დროს აზრზაყანმა მიმართა ერთს მათთაგანს, სხვათა შორის მის ნათესავს: «სად იცქირები მაგრე ზევით ცისკენ, შენი პოლიტიკოსობაც მგონი იქ დაფრინავს, ჰაერში და მიწას, რეალობას არ ეხებაო». მან უპასუხა: «ვეძებ ხეს, სულ მაღალ ხეს, სადაც უნდა ჩამოგკიდო, როცა აქ კომუნიზმი გაიმარჯვებსო». არზაყანმა ღიმილით მიუგო: «ჰო, შეიძლება ეს არც ერთმა თქვენთაგანმა არ ჰქნას, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ამას იზამენ თქვენი ბატონ-პატრონნი—რუსის კომუნისტები. მაშ ბარემ თქვენთვისაც ამოირჩიეთ წინდაწინ ეს ხეები. თქვენ გულუბრყვილობით არ ხედავთ კომუნისტური რევოლუციური ფრაზეოლოგიის ქვეშ წითელს რუსულს იმპერიალიზმს. თქვენ მათ უნდებხართ როგორც ლეღვის ფოთოლი, ბარბაროსული სინამდვილის დასამალავად. მავრი გააკეთებს დაკვეთილ საქმეს, მავრი წავა. რას ჰქვია წავა, ვან გაუშვებს, სწორედ ამ ხეზე იქნება ჩამოკიდებულიო». საუბედუროდ, ვამბობთ საუბედუროდ—ერის უმაღლეს ინტერესების თვალსაზრისით,—რამდენიმეს მათგანს შეუსრულდა ეს წინასწარმეტყველობა.

არზაყანი ემიგრაციაში, წელიწად ნახევარს სტამბოლში ცხოვრობდა. მას ჰქონდა უფლება და საშვალებაც საფრანგეთში წასულიყო. პრალა არჩია.— არ მინდა მთავრობას ზედმეტი ტვირთი დავდოვო. როგორც ყველა ემიგრანტი, ძალიან შევიწროებული იყო ნივთიერად. თავის პატარა ოთახს, ტანისამოსს ისე უვლიდა, რომ ბევრ ქალსაც არ შეეძლო. ყველაფერში აფხაზურად კოხტა, სუფთა, სპეტაკი იყო. ალბად სულიერი სიწმინდე ითხოვს ფიზიკურ სისუფთავესაც. ფუფუნებაში ის არას დროს ყოფილა. ემიგრანტული და რევოლუციური ცხოვრების დროს კი არა, როცა ის აფხაზეთის ავტონომიური მთავრობის თავმჯდომარე იყო, ოჯახი მშიერი დაურჩებოდა, რომ მისი ძმა არ დახმარებოდა: მას ყოველთვის მოქონდა სოფლიდან, თავის მამულიდან სიმინდი, ლობიო, ყველი და სხვა.

ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მას შეუწყვიტეს ცოლშვილთან წერილობითი კავშირიც: წერილს უკან უგზავნიდენ, ადრესატმა ვერ მიიღო. სამშობლოს და ცოლ-შვილს მოშორებულმა, ემიგრანტული ცხოვრების უკუღმართ პირობებში, ახლანდელ საყოველთაო ქაოსის და გზაკვალის აბნეულობის დროს არზაყანმა შეინარჩუნა სრული სულიერი სიმტკიცე, რწმენა, ოპტიმიზმი. მას არ მოსდებია არავითარი ემიგრანტული ტალახი—«სმენოვეხური», სენი დიდი კაცობის და სხვა. დარჩა ისევე ის ძველი არზაყანი, კლდესავით ჩუმი და მაღალი, კლდესავითვე მტკიცე და წმინდა. სულიერად თუ არ გატეხილა, რა გასაკვირია, რომ დაიქანცა ფიზიკურად. როცა გახდებოდა ავად, ამბობდა ხოლმე: «მე აქ როდი მოვკვდები, ჩემი ძვლები თვითონ უნდა ჩაიტანო თავისუფალ სამშობლოშიო». ვერ ეღირსა სამშობლოს განთავისუფლებას, ვერც ცოლშვილის ხილვას. ორი წელიწადია, ცდილობდა საფრანგეთში წასვლას. ვიმედოვნებ, რომ ერთი კვირით მაინც გაიხარა მეგობრული და ეროვნული წრის სითბოთი და სიტკბოებით. თვითონაც მომწერა: მეგობრებმა მართლა მეგობრულად მიმიღესო. მეორე ნუგეში ისაა, რომ განისვენებს საძმო სასაფლაოზე, სხვა ეროვნულ გმირებთან ერთად. მით უფრო უეჭველია, რომ თავისუფალი საქართველო შეუსრულებს მუდმივს და მხურვალე სურვილს—მის ძვლებს მაინც დაუბრუნებს მშობლიურ მიწას.

მ. ებირია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ ე ს ხ ე თ ი

(გეოგრაფიულ-ისტორიული მიმოხილვა)

∴

მესხეთის წარსული საერთოდ მთელი საქართველოს ისტორიაა, ხოლო მესხეთს აქვს განცალკევებული, საკუთარი თავგადასავალიც. იგი ორი პერიოდისაგან შესდგება: ერთია საქართველოს გაერთიანებამდე, მეორე—იწყება ერთიანობის დარღვევიდან. ერთი მიდიოდა სამშობლოს მთლიანობისაკენ, მეორე ხელს უწყობდა მის დაშლას. ერთს ხელმძღვანელობდენ ერისთავები ბაგრატიანები, მეორეს—ჯაყელები. შეიძლება ითქვას, რომ მესხეთის განცალკევებულ ისტორიას აქვს მესამე პერიოდიც—ოსმალთა ბატონობის ქვეშ.

ჩვენი მატიანე გადმოგვცემს, რომ მე 6 საუკუნ. სამცხე-ჯავახეთ-კლარჯეთში ერისთავთ-ერისთავად იყო ვახტანგ გორგასლანის შვილი მირდატი. მასთან მოვიდა ნათესავი დავით წინასწარმეტყველისა, ერთი შვიდ ძმათაგანი, გურამ და ითხოვა მკვიდრობა მასთან. ეს შვიდი ძმა იყვნენ: ბაგრატ, აბგავარ, მობალ, გურამ, სააკ, ასამ და ვარზავარდ: ორნი მათგან სომხის მეფეს დაუმოყვრდენ, ოთხი—გურამ, სააკ, ასამ და ვარზავარდ ქართლში მოვიდნენ: გურამ მესხეთში და სამი გადავიდა კახეთში. მირდატმა შეიწყნარა გურამი, მიათხოვა თავისი და და მზითევად მისცა ტაო, და იყო გურამ ტაოს ერისთავად და მორჩილებდა მირდატს, ხოლო უკანასკნელი ქართლის მეფეს. ეს დრო იყო ბიზანტია-სპარსეთის ომებისა, რომელიც თითქმის სამი საუკუნე გრძელდებოდა. მესხეთი ბერძნებს უჭერდა მხარს და შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე ქართლი. მე 6 საუკ. ბოლოს მირდატის ჩამომავლობა ამოწყდა და მათი სამკვიდრებელი მთლად გადავიდა გურამის შვილიშვილის გურამ მეორის ხელში. ეს გურამიც ბერძნებს ეხმარებოდა და კეისრის მიერ დაჯილდოვებული იყო კურატპალატის წოდებით. ამ გურამმა იწოდა ბაგრატიანი, რადგან მამა მის ბაგრატი ერქვა და მიერიდგან გაჩნდა სახელწოდება ბაგრატიანთა, ბაგრატოვანთა, ბაგრატუნიანთა, ბაგრატიონთა გვარისა.

როგორც ვსთქვით, მესხეთის ერისთავები ბერძნებს ემხრობოდენ, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს ბიზანტიას, მოხერხებულ დროს ეს თუ ის ადგილი წაეგლიჯა მესხეთისთვის, მაგალითად სტეფანოზს წაართვეს სპერი (ისპირი) და კლარჯეთის ზღვის სანაპირო. მაინც მესხეთის მთავრები თანდათან ღონიერდებოდენ და ქართლის ხოსროიან-გორგასლიან დინასტიასაც ემოყვრებოდენ. ერთ-ერთი გურამიან-ბაგრატიან გვარისა მესხეთში ერისთავთ-ერისთავად იყო, ხოლო დანარჩენები ცალ-ცალკე კუთხეების ერისთავებად. მათი იურიდული და პოლიტიკური დამოკიდებულება ერთმანეთს შორის, სამწუხაროდ, ძნელი გამოსარკვევია. როგორც ეტყობა, მესხეთის ბაგრატიანებს ქართლის ნაწილიც კუთვნებიათ და მე-8 საუკ. ბოლოს გურამის ერთ ერთი ჩამომავალი აშოტი ქართლში იყო ერისთავად, ხოლო არაბებისაგან შევიწროვებული ისევ მესხეთში გადასახლდა, დაბინავდა არტანუჯში, დაიკავა შავშეთ-კლარჯეთი, მერე სხვა ადგილებიც, გაძლიერდა და დიდი სახელიც მოიხვეჭა. მესხეთის ყველა მთავრის უძლიერესი შეიქნა, კეისრისაგანაც კურატპალატობით იყო დაჯილდოებული. ის რომ არტანუჯში გადასახლდა, კახეთის ერისთავმა გრიგოლმა მისი ნაფლობი ქართლი დაიკავა. აშოტმა თავისი სიძე აფხაზთა მეფე მოიშველია და გრიგოლს მამული უკან წაართვა. მალე ტაო-კლარჯეთს არაბები შემოესიენ, აშოტი დაამარცხეს, დაედევნენ და არტანუჯის ეკლესიის საკურთხეველში მოჰკლეს 826 წელს.

ჯერ სპარსელებისაგან და მერე არაბებისაგან აოხრებული და დაშლილი საქართველო მე 8 საუკ. დასასრულიდან იწყებს წელში გამართვას და აღორძინებას. მის მიწაწყალს ოთხი ძალა პატრონობს: 1) ტფილისს და ქართლის სამხრეთს არაბთა ამირა, 2) კახეთს ქორეპისკოპოზად წოდებული ერისთავი, 3) დასავ. საქართველოს ჩრდილო ნაწილს აფხაზთა მეფე და 4) სამხრეთ-დასავლეთს აშოტ ბაგრატიანი და მისი ჩამომავლობა. ამ ოთხ ძალთა შორის სწარმოებს ბრძოლა უპირატესობისთვის და ეს იყო ბრძოლა იმავ დროს საქართველოს გაერთიანებისათვის.

აშოტი რომ არაბებმა მოჰკლეს, მის შვილებს ადარნასეს, ბაგრატს და გურამს ქართლი წაართვეს და მათ საკუთარ სამფლობელოსაც ნაწილობრივ ხარკი დაადვეს. მაგრამ მოხერხებული მოქმედებით ყველა მამის ნაქონები შვილებმა ისევ დაიბრუნეს და კიდეც გააფართოვეს. მათში პირველობა მოიპოვა საშუალმა ბაგრატმა, რომელსაც ბიზანტიამ კურატპალატობა უბოძა. ბაგრატი სარგებლობს ტფილისის ამირას და ხალიფას უთანხმოებას, ეხმარება უკანასკნელს და ჯილდოდ ქართლს მიიღებს. მაგრამ არ დაანებებს აფხაზეთის მეფე გიორგი და თვითონ დაიკავებს ქართლს.

იმ ხანებში გაძლიერდენ სომეხთა ერისთავები და დაიწყეს საქართველოს საქმეებში ჩარევა. მათ შორის უდიდესი იყო ერისთავთ-ერისთავი აშოტ ბაგრატუნი, რომელიც აფხაზებს ქართლს წაართმევს და თავის თავს უწოდებს «სომეხთა და ქართველთა» ერისთავთ ერისთავად. ბრძოლა აფხაზეთსა და მესხეთს შორის ქართლის დასაპყრობად დიდხანს გაგრძელდა შემდეგაც და ამ ბრძოლაში დიდს აქტივურ როლს თამაშობდენ სომხები, რომელთაც არამც და არამც არ უნდოდათ აფხაზეთის გაძლიერება. მაინც მეათე ს. დამდეგს გამარჯვება უკანასკნელს ხვდა, მან დაიკავა არა თუ ქართლი, არამედ კახეთ-ჰერეთის დიდი ნაწილიც.

მეათე საუკ. მეორე ნახევარში აფხაზეთში შფოთი და არეულობა დაიწყო. ტახტი უსინათლო მეფეს თეოდოსის ეკავა, რომელიც დიდებულ აზნაურთა სათამაშო გახდა ქართლიც ღელავდა. ეს გარემოება ძალიან ხელსაყრელი იყო მესხეთის მთავრებისთვის, რომ განეხორციელებიათ თავისი პრეტენზიები. მათ შორის იმ დროს უძლიერესი იყო ტაოს მთავარი დავით კურატპალატი, რომელსაც დიდი სახელი და პატივისცემა ჰქონდა მოხვეჭილი ყველგან, ბიზან-

ტიასა და სომხეთშიც კი. აფხაზეთის და საერთოდ მთელი საქართველოს მაშინდელი აწეწილ-დაწეწილი მდგომარეობა ბევრს შეგნებულს ქართველს აწუხებდა და ეძიებდენ საშუალებას მშვიდობის დასამყარებლად. მათ შორის განირჩევოდა ქართლის ერისთავი იოანე მარუშისძე, დიდი მამულიშვილი. იგი წარსდგა დავით კურატპალატის წინაშე და მოახსენა, რათა გამოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი, ანუ დაიმჭირნოს თვით ანუ უბოძოს თავის ძმის გურგენის შვილს ბაგრატს, აფხაზთა მეფის ასულის წულსა, რომელსაც ეკუთვნოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი. დავითს შვილი არ ყავდა და ბაგრატი გაეზარდა შვილად თვისად, ამიტომ უკანასკნელი ტაოს მემკვიდრეც იყო. ი. მარუშიძის წინადადება თვით დავით კურატ პალატის სურვილი და განზრახვა იყო. მან დაუყონებლივ დაიკავა ქართლი და ბაგრატს გადასცა. შეკრიბა აზნაურნი და გამოუცხადა: «ესე ბაგრატ არს მკვიდრი ტაოსა, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი გაზრდილი ჩემი და მევარ მოურავი მისი და მას დაემორჩილენით ყოველნი» (974 თუ 975 წ.). ორი წლის შემდეგ უსინათლო და უშვილო თეოდოსი გადაყენებულ იქმნა და აფხაზეთის მეფედ გამოცხადდა ბაგრატი. როცა დავით კურატპალატი გარდაიცვალა 1001 წ. ბაგრატი დაეუფლა ტაო-კლარჯეთსაც, შემოიერთა ბაგრატიანთა ცალკე შტოების სამფლობელოები და შეიქმნა აფხაზეთის. ქართლის და მესხეთის სრული პატრონი და მართველი. იგი ცნობილია ჩვენს ისტორიაში ბაგრატ მე III სახელით, გარდაიცვალა 1014 წ.

ამგვარად მესხეთის ცხოვრება სავსებით შეუდუღდა მთელი საქართველოს ცხოვრებას. ეს მდგომარეობა გაგრძელდა ორი და ნახევარი საუკუნის მეტს, გიორგი ლაშას შვილის დავითისამდე. ეს იყო მონგოლთა ბატონობის ხანა ჩვენში, როცა საქართველოს სახელმწიფოს ძლიერება დაიმსხვრა. ბრწყინვალე კულტურა განიავდა, ქვეყანა გაღარიბდა, მოსახლეობა შემცირდა, სახელმწიფო ორ სამეფოდ გაიყო და ცალკე კუთხეების მართველებმა დაიწყეს ნელნელა განდგომა.

მეფე დავითმა ორგულობა შესწამა სამცხის ერისთავს სარგის ჯაყელს და შეიპყრა. მაგრამ მონგოლთა ყეენმა გაათავისუფლებინა. ერისთავი სამცხეში დაბრუნდა, განუდგა მეფეს და დაემორჩილა ყეენს (1268 წ.). ხოლო დავით მეფეს მაინც ეპყრა ჯავახეთი, კოლა, არტაანი და კლარჯეთი. როცა იგი გარდაიცვალა და მეფედ მისი შვილი დიმიტრი ეკურთხა, სარგის ჯაყელი კურთხევას არ დაესწრო, რასაც წესი მოითხოვდა. სარგისის შვილმა ბექამ დიდად გააფართოვა თავისი სამფლობელო, მონგოლთა დახმარებით თითქმის მთელს მესხეთს დაეპატრონა და ჭანეთიც მიიღო ტრაპიზონის მეფისაგან, რომელსაც თავისი ქალი მიათხოვა, და სრულიად დამოუკიდებელი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ (1306) მისი შვილები მამის საპატრონოს დაეუფლენ. ხოლო გიორგი მე-V ბრწყინვალემ (1318-1356) კვლავ გააერთიანა საქართველო, «დაიპყრა საქართველო, სომხეთი, ჰერ-კახეთი, ქართლი, მესხნი, ტაო, შავშეთ-კლარჯეთი და ვიდრე სპერამდე და ზღვამდე და თუმცა ძენი ბექასანი ფრიად განდიდებულ იყვნენ, მაგრამ ველარა ურჩ ექმნეს». და მესხეთის მთავარნი დარჩენ ასე საქართველოს მეფის მორჩილებაში 145 წელი.

მონგოლებისაგან ლანგ-თემურის მეთაურობით მეორედ განადგურებული საქართველო კვლავ დაუძლურებისკენ დაექანა და კუთხობრივმა განცალკევებამ ახლაც თავი იჩინა. სამცხის ერისთავმა ყვარყვარე მეორემ, რომელსაც ათაბაგის საპატიო სახელწოდებაც ჰქონდა მიღებული, ჯერ იმერეთის ერისთავი ბაგრატი წააქეზა, რომ გამდგარიყო და თავი დამოუკიდებელ მეფედ გამოეცხადებია, მერე თვითონაც განუდგა მეფე გიორგის, ეომა, დაამარცხა და დაატყვევა კიდეც. დაიპყრა სრულიად მესხეთი და უწოდა თავის სამფლობელოს საათაბაგო. + 1466 წ.

ყვარყვარეს პოლიტიკას განაგრძობდენ მისი მემკვიდრენი. ხან იმერეთს ეომებოდენ, ხან ქართლს. მესხეთის ეკლესიის განცალკევებაც მოახდინეს. არ ხედავდენ ოსმალოების საფრთხეს, რომლებიც რკალივით გარს ერტყმოდენ მესხეთს. პირიქით, ოსმალეთის გავლენის განმტკიცებას ათაბაგები უყურებდენ როგორც ერთგვარ გარანტიას თავის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად იმერეთისა და ქართლის წინაამდეგ.

სულ სხვანაირად ფიქრობდა იმერეთის მეფე ბაგრატ მესამე, რომლისთვის ნათელი იყო, რომ თუ ოსმალო საათაბაგოს დაიჭერდა, მაშინ მთელი დასავლეთი საქართველო განსაცდელში ჩავარდებოდა. ამიტომ გაილაშქრა ათაბაგის ყვარყვარე მესამის წინაამდეგ. დაამარცხა, დაატყვევა და მისი სამფლობელოც აფხაზ-იმერეთის სამეფოს შეუერთა 1535 წ.

ყვარყვარეს შვილი ქაიხოსრო ოთარ შალიკაშვილმა სტამბოლში წაიყვანა და სულტანს დახმარება სთხოვა. ეს იყო სულტანი სულეიმან დიდი (1520-1566), რომლის დროს ოსმალეთმა თავის სიძლიერის უმაღლეს წერტილს მიაღწია და რომლის შიშით მთელი ევროპა კანკალებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ოსმალთა ჯარი შემოესია ტაოს, აოხრა და განემზადა საათაბაგოს შიგნით შემოსასვლელად. მას წინ შემოეგება ბაგრატი და სასტიკ ბრძოლაში მტერი დაამარცხა 1543 წ. ოსმალთ ახლად დააგროვეს დიდძალი ჯარი აზრუმისა და დიაბერქირის ფაშების წინამძღოლობით და მეორედ შემოუტიეს ბაგრატს, რომელსაც ქართლის მეფე ლუარსაბი მოეშველა (1534 58). მათ ლაშქარში მესხნიც იყვენ. იწყინეს ამათ, რომ წინამბრძოლებად არ გაუშვეს და შუა ბრძოლის დროს არ მიყვენ დანარჩენ ქართველებს. ბრძოლა დილიდან საღამომდის გაგრძელდა, ქართველები სასტიკად იბრძოდენ, მიუხედავად ურიცხვი მსხვერპლისა ბრძოლას არ ანელებდენ, სანამ ჯარის დიდ ნაწილს იარაღი მთლად არ შემოატყდა. მეფენი იძულებულნი გახდენ უკან დაეხიათ. ეს ბრძოლა მოხდა 1545 წ. სოხოისტას, ბასიანში. ოსმალთ დაიკავეს საათაბაგო და ათაბაგად დასვეს ქაიხოსრო. ასე გადაწყდა ბედი მესხეთის და შეიძლება, მთელი საქართველოსიც.

მესხეთი მოწყდა დანარჩენ საქართველოს, მო-

ექცა ოსმალეთის უშუალო გავლენის ქვეშ და მომზადდა ნიადაგი მის სრულ დასაპყრობად, რამაც არ დააყოვნა. 1549 წ. ოსმალოებმა აზრუმიდან ტაოზე გაილაშქრეს, სრულიად დაიპყრეს და ჩადგენ მის მახლობელ ციხეებშიც. მართალია 1553 წ. ოსმალეთსა და სპარსეთს შორის დადებულ ხელშეკრულობით—ქართლი, კახეთი და საათაბაგო (ოსმალთა მიერ უკვე დაკავებულ ადგილების გამოკლებით) სპარსეთის გავლენის სფეროდ გამოცხადდა და დასავ. საქართველო—ოსმალეთის გავლენისა, მაგრამ ამან ოსმალნი არ შეაჩერა მესხეთის დასაპყრობად. ათაბაგებმა რა შეხედეს, რომ ოსმალნი საშიშნი ხდებოდენ, სპარსელებთან დაახლოვება განიზრახეს. უკვე გვიან იყო და ამით საქმე ვერ გამოკეთდა. თვით საათაბაგოს შიგნითაც დაიწყო არევ-დარევა: შალიკაშვილები და სხვა დიდგვარიანები ათაბაგს წინააღუდგენ და უმეტესობა ოსმალეთის მხარეზე იყო, ზოგი მაჰმადიანობასაც იღებდა, რომ დაწინაურებულიყო. ეს ისარგებლეს ოსმალოებმა და თანდათან წინწამოიწიეს და სპარსეთზე ჩილდირის ომში (1578 წ.) გამარჯვების შემდეგ დაიკავეს სრულად მესხეთის გამაგრებული ადგილები. მათი მძლავრობა და ბატონობა უფრო გაფართოვდა. ათაბაგ მანუჩარ მეორემ ვერ აიტანა ოსმალთა ბოროტება და ქრისტიანობის დამცირება და ქართლს შეაფარა თავი. მერე სტამბოლში სულტანს ეახლა და შეწყალება თხოვა. უკან რომ ბრუნდებოდა, ბიძა მისმა ბექამ მოჰკლა. თვითონ წავიდა სტამბოლში, გამაჰმადიანდა და საფარ ფაშის სახელით დაინიშნა მესხეთის მართველად 1625 წ. საათაბაგო მოისპო და მთელი მისი ტერიტორია გახდა ახალციხის ან ჩილდირის საფაშოდ, რომლის ფაშებად სულტნები მე 18 საუკ. დამლევამდე ნიშნავდენ ათაბაგის ჩამომავალ პირებს. მესხეთში დამყარდა ოსმალური წესები. ქვეყანამ იწყო გამაჰმადიანება და გადაგვარება. დარჩენილი იყო მხოლოდ მცირე ნაჭერი აჭარისა ქობულეთ-ჩაქვითურთ, რომელიც ოსმალეთმა დაიპყრა 1774 წ.

1828 და 1878 წლ. რუს-ოსმალთა ომების შემდეგ მესხეთის უმეტესი ნაწილი რუსეთის ხელში გადმოვიდა და ასე თუ ისე დანარჩენ საქართველოს დაუკავშირდა. ხოლო ყარსის ხელშეკრულობის ძალით მესხეთის ბევრი კუთხე ისევ თურქეთმა დაიბრუნა და დღეს საქართველოს საზღვრებს გარედაა ოლთისი, არტაანი, ტაო-კლარჯეთ-შავშეთი, ბასიანი, თორთომი, ისპირი და ჰანეთი.

∴

საჭიროა, ცალკე შევჩერდეთ, თუ რა ბედი განიცადა ქრისტიანობამ და ქართულმა ენამ და ეროვნებამ ოსმალთა ბატონობის დროს.

ოსმალეთი თავიდანვე მკაცრად შეუდგა ერთგული საფარ ფაშის ხელით დაპყრობილ მხარის გადარჯულებას და გადაგვარებას. გარდა ჩვეულებრივი გადასახადისა ყოველს ქრისტიან სულს დაადვეს სპეციალური, აგრეთვე ყოველს მის მოსავალს, შინაურ საქონელს და კიდევ ცალკე გადასახადი საფაშო. ქრისტიანის სიცოცხლეს ფასი არ ჰქონდა: დროგამოშვებით იანიჩარები როგორც ნადირს ისე დაერეოდენ ქრისტიან ერს, მამაკაცებს ხოცდენ უმოწყალოდ, ქალებს აუპატიურებდენ, ბავშვებს ტყვედ წარიტაცებდენ. წარჩინებულმა მესხებმა პატივისა და სამსახურის მისაღებად დაიწყეს გამაჰმადიანება. ეკლესიას და მის უფლებებს მოაკლდა ადგილობრივ მეპატრონეთა მფარველობა. შემოწირულობა და ჩამოერთვათ ქონებული მამულები. დიდებული მონასტრები დაცალიერდენ და საეპისკოპოზო კათედრები თანდათან მოისპენ. ოხრდებოდა ეკლესიები და შენდებოდა ჯამეები. მორწმუნენი მალავდენ წმ. წიგნებს, ხატებს, ნაწილებს და გაჰქონდათ ქართლსა და იმერეთში.

საფარ ფაშის შვილის უსუფის და შვილიშვილის როსტომის დროს მაჰმადიანობა კიდევ უფრო მეტის სისწრაფით გავრცელდა. ფაშათა და წარჩინებულთა ცოლები ჯერ კიდევ ქრისტიანები იყვენ. მაგრამ სულტანმა ბრძანება ბრძანება გამოსცა, რომ ქალებიც უთუოდ უნდა გამაჰმადიანებულიყვენ. ეკლესია-მონასტრების მამულებს დაეპატრონენ წარჩინებულები, ეკლესიებს ძარცვავდენ და ხატთა და ჯვართა ოქრო-ვერცხლს ხმარობდენ სამკაულებისთვის. ბრწყინვალე ტაძრები გადაიქცენ პირუტყვთა სადგურად და აქა-იქ თუ დაშთენ მღვდელნი და მონაზონნი. ბევრი ვერ ურიგდებოდა ქვეყნის წახდენას და იხიზნებოდა ქართლში. ამ დროს არიან გადმოსული მესხეთიდან ხიმშიაშვილები, ხერხეულიძეები, დიასამიძენი, თაქთაქიშვილები და სხ.

ასეთი ვითარება გაგრძელდა შემდეგაც და სარწმუნოების დაცემასთან ერთად შეირყა ქართული ეროვნული შეგნება და კულტურა. გავრცელდა ოსმალური ზნე ჩვეულებანი, გაირყვნა ერი ზნეობრივად. გახშირდა უპირობა, გამცემლობა, ღალატი, მემრუშეობა და სოდომიანობა. არღარა იყო სახელი თავადთა, მთავართა და აზნაურთა, არამედ უწოდდენ ფაშად, ბეგად, ალიბეგად, სანჯახად და აღად.

ყველაზე უფრო დიდხანს იცავდა ქრისტიანობას მესხეთის გლეხობა, რომელიც ყოველნაირ საშუალებას მიმართავდა მამაპაპათა სარწმუნოების დასაცავად, და ვერ ხიბლავდა მას ის სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესობა, რომელიც მოელოდა გამაჰმადიანობისაგან. ხშირად გლეხები იძულებულნი გარეგნულად იცვლიდენ რჯულს, ნამდვილად ქრისტიანები რჩებოდენ. ერის კაცის ტანისამოსში გადაცმული მღვდელი ფარულად ღამღამობით დადიოდა სოფლებში და აკმაყოფილებდა გლეხთა სარწმუნოებრივ საჭიროებას. გასათხოვარი ქალიშვილები სადმე, ერთ სოფელში მოიყრიდენ თავს ვაჟებად გადაცმულები, თავიანთ საქმროებითურთ და იქ ჩუმად მოსული მღვდელი დასწერდა ჯვარს. შობა აღდგომას კიდევ მღვდელი ფარულად დაუვლიდა მორწმუნეებს და ღორის ხორცით და კვერცხით მიულოცავდა მათ დღესასწაულს. ქრისტიანობის შესანარჩუნებლად მართლმადიდებელნი კათოლიკენი ხდებოდენ, რათა ნაკლები დევნა განეცადათ. ბევრნი სომხურ ტიპიკონზედაც გადადიოდენ, სომხურ გვარებს და სახელებს იღებდენ, რადგან მაშინ სომხებს არ ავიწროვებდენ. მაინც ბოლოს და ბოლოს აუტანელმა მდგომარეობამ გლეხობაც

გასტეხა და იმანაც იწყო მაჰმადიანობაში გადასვლა, თანდათან დაჰკარგა წინანდელი რჯული, თუმცა ლა სამცხის და ჯავახეთის ზოგიერთ ადგილებში მცირედნი ჩვენს დრომდის დარჩნენ ქრისტიანენი.

ცოტა სხვანაირი იყო ქართული ენის ბედი—იგი გაცილებით უფრო ხანგრძლივი გამოდგა და გამძლე. ეს არ უნდა მიეწეროს ქართველების სარწმუნოებრივ ინდიფერენტიზმს და რჯულის ადვილად დათმობას. ქართველი ერის მდიდარი სალვთისმეტყველო მწერლობა და ფართო საეკლესიო-სამონასტრო მოღვაწეობა როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, ურიცხვი ქართველის თავის განწირვა ქრისტიანობისთვის, რასაც ხშირად ჰქონდა ადგილი საქართველოს ტრაგიულ ისტორიის მანძილზე,—ეს ყველაფერი საკმაოდ ამტკიცებს ქართველების რელიგიურ შეგნების სიმაღლეს ძნელია იმის თქმაც, რომ ოსმალოები სარწმუნოებას უფრო დევნიდენ, ვიდრე ენას და ამიტომ უფრო გაძლო ქართულმა. ჩვენის აზრით, აქ მთავარი ისაა, რომ ქართველში ნაციონალური უფრო მკვიდრია და ღონიერი, ვიდრე სარწმუნოებრივი.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის 1745 წ. დაწერილ გეოგრაფიაში იმდროინდელ მესხების შესახებ ამბობს· «აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან მაჰმადიანნი და გლეხნი ქრისტიანენი, არამედ კლარჯეთის გლეხნიცა უმეტესნი მაჰმადიანნი. გარნა ვინანიცა არიან ქრისტეანენი, იგინიცა უმწყესონი არიან... ენა საკუთრად აქვთ იგივე ქართული, განა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა უბნობენ თათრულსა და თვისთა სახლთა და ურთიერთის მეგობრობასა შინა იტყვიან ქართულსავე. სამოსლით მოსილნი არიან წარჩინებულნი და მაჰმადიანნი ვითარცა ოსმალნი და ქრისტიანენი ვითარცა ბერძენნი, ხოლო ჯავახეთისანი და ზოგიერთნი მესხნიცა ვითარცა თრიალელნი».

როცა მესხეთის ცალკე ნაწილებს აგვიწერს, ვახუშტი იტყვის: სამცხის ქალნი და კაცნი არიან, ვითარცა ზევით აეწერეთ, «არამედ გლეხნი კვალადცა მაჰმადიანდებიან ჴირისათვის დიდისა». ჯავახეთის გლეხნი სარწმუნოებით არიან ქრისტეანენი, «ენა აქვთ ქართული და უწყიან მოთავეთა თათრულიცა დამჴირონოებისათვის ოსმალთა». ისპირის მესხნი არიან მსგავსნი სამცხისა და აწ მაჰმადიანნი სულიად, ენითა ქართულითა და ზნითა ოსმალიათა. თორთომელები არიან სულიად მაჰმადიანნი, ენითა ქართულითავე, არამედ უბნობენ თურქულსაც. ვახუშტის ცნობით, ქართული ენა რამოდენიმედ დაცული იყო ჰანეთშიც.

(დასასრული იქნება)

ს. ფირცხალავა.

## «რუსეთის თურქთა ეროვნული ბრძოლა»

(დასასრული)

კულტურული განვითარება აახლოებს რუსეთის თურქ ხალხებს ერთმანეთთან. მიუხედავად მთავრობის განმაცალკევებელი ღონისძიებებისა, და ხელს უწყობს საერთო თურქული ეროვნული შეგნების განვითარებას. ამ განვითარების მთავარ და უპირველეს წარმომადგენლად ხდება ყირიმელი თურქ-თათარი ისმაილ გასპრინსკი ანუ გასპარალი (1851 1914). რუსეთში, ისტანბულში (კონსტანტინეპოლში) და პარიზში ფართე და მრავალმხრივი განათლების მიღების შემდეგ გასპრინსკი ხდება რეფორმატორად თურქ ხალხთა კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში, უპირველესად კი სკოლის და ენის საკითხებში.

1884 წელს გასპრინსკი აარსებს სანიმუშო საეროსასულიერო (წინანდელი მხოლოდ სასულიეროს მაგიერ) დასაწყის სკოლას («მეკტებ»-ს) თურქ თათართათვის თავის სამშობლო ქალაქ ბახჩი სარაიში. 1905 წელში რუსეთში უკვე 5.000-მდე ასეთი სკოლა ითვლება. ასეთსავე რეფორმას უკეთებს გასპრინსკი საშვალო სკოლას «მედრეს» საც. მაგრამ მისი უმთავრესი დამსახურებაა შექმნა საერთო თურქული სამწერლო ენისა, რომელიც მან დაამყარა ყირიმის და ისტანბულის კილოკავებზე. ამ ენას დიდი წარმატება აქვს რუსეთის თურქ ხალხთა ინტელიგენციაში 1905 წლამდის. ამ წელში კი ჟურნალ-გაზეთების და წიგნების მასიურ გავრცელებასთან ერთად ფართე გავრცელებას პოულობს ლიტერატურა ადგილობრივ ენებზე თუ კილოკავებზე, რაიც გასპრენსკის საერთო ენას უკანა რიგში აყენებს.

დღესაც ბოლშევიკები თავისი განმაცალკევებელ-გამთიშველი პოლიტიკით ხელს უწყობენ მრავალენათა და კილოკავთა გამაგრებას (როგორც ერთ დროს ილმინსკი!) და ამით გასპრინსკის იდეას ეწინაამდეგებიან. მაგრამ გასპრინსკის პრინციპი (თუმც სხვა ფორმით) მაინც პოულობს გამარჯვებას ახალი თურქეთის ენაში და ნაციონალურ ემიგრაციათა გამოცემებში.

გასპრინსკის იდეები უკვდავყოფილი არიან უმთავრესად მის სახელგანთქმულ გაზეთ «თერჯუმან»-ში (თარჯიმანი), რომელსაც ის სცემდა 1883 წლიდან სიკვდილამდის. 30 წლის განმავლობაში ემსახურებოდა ეს ორგანო გამომცემლის ლოზუნგს: «ერთობა ენის, ერთობა იდეოლოგიის, ერთობა მოქმედების».

წინედ თურქ ხალხთა ერთად ერთი გამაერთიანებელი იყო ისლამი. დგება დრო, რომ ეს როლი აილოს ეროვნულმა შეგნებამ. რუსეთის თურქებში ეროვნული გამოღვიძება ხდება უფრო ადრე ვინემ თვით თურქეთში. მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზედ, როდესაც ოტომანის იმპერიაში ჯერ კიდევ სავსებით ბატონობენ ოსმანიზმის (ერთობა ოტომანის იმპერიის ყველა ეროვნებათა და რელიგიათა ოსმანთა დინასტიისადმი ერთგულებაში) და პანისლამიზმის (რადგან სულთანი ითვლებოდა ყველა მაჰმადიანთა ხალიფად) იდეები, რუსეთის თურქ ხალხთა ინტელიგენციაში პოულობენ ფართე გავრცელებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო თანამედროვე მოძღვრებანი: თურანიზმი (ანუ პანთურანიზმი), რომელიც ქადაგებს სხვადასხვა თურანულ ხალხთა ერთობას საერთო სულიერ ანუ წარმოსადგენ სამშობლოში «თურან»-ში, და თურქიზმი (ანუ პანთურქიზმი), რომელიც ყველა თურქ (და თურქ-თათარ) ხალხებს სთვლის ერთ თურქ ერად და ამ ეროვნულ ერთობაზე აგებს თავის პოლიტიკურ პროგრამას. ამ პოლიტიკური თურქიზმის პირველი გარკვეული წარმომადგენელი არის ვოლგის (სიმბირსკელი) თურქ-თათარი იუსუფ აკჩურა (1876-1935), რომელმაც, ისე როგორც გასპრინსკიმ, განათლება მიიღო რუსეთში, ისტანბულში და პარიზში. 1904 წ. აკჩურა ხელმძღვანელობს ქაიროს (ეგვიპტე) გაზეთ «თურქ»-ში დისკუსიას «სამ პოლიტიკურ სისტემაზე» (ოსმანიზმი, პანისლამიზმი და თურქიზმი), რომელშიც თვითონ გამოდის თურქიზმის დამცველად.

«მას შემდეგ რაც მერჯანიმ დაამსხვრია ფორმალური ისლამის ბატონობა და გასპრინსკიმ კულტურული ერთობის საძირკვლები ჩაჰყარა, აკჩურამ 1904 წელს თავისი თურქიზმით თურქული ეროვნების იდეა პოლიტიკურ პროგრამად აქცია» — ამბობს პროფ. ფონ მენდე (გვ. 83).

1905-ს და შემდგომ წლებში აკჩურა ღებულობს მხურვალე მონაწილეობას რუსეთის მაჰმადიანთა პოლიტიკურ ბრძოლაში გასპრინსკისთან და ცნობილ აზერბაიჯანელ ალი მერდან თოფჩიბაშისთან ერთად. მაგრამ 1908 წლიდან ის ცხოვრობს ისტანბულში. აქ ის არის ორენბურგის თურქ-თათრული გაზეთის «ვაქიტ«-ის (დრო) წარმომადგენელი და 1911 წლიდან სცემს ჟურნალ «თიურქ იურდუ»-ს (თურქული კერა), რომელსაც ის უწოდებს «დიდი «თერჯუმანის» უმცროს ძმას». 1921 წელს ის აცხადებს თავს ახალი თურქეთის განკარგულებაში, რომელსაც (როგორც ძველ თურქეთსაც) სთვლის ყველა ქვეყნის თურქ (და თურქ-თათარ) ხალხთა ძირითად სამშობლოდ. გარდაიცვალა ისტანბულში 1935 წ.

1905 წლის რევოლიუციას და მასთან დაკავშირებულ ლიბერალურ კანონებს შეაქვთ რუსეთის თურქ ხალხთა კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაშიც განსაკუთრებული გამოცოცხლება. პირველ სახელმწიფო სათათბიროში იყო 25 მაჰმადიანი*) დეპუტატი, მეორეში 35. ამ უკანასკნელებიდან 29 ეკუთვნოდენ ე. წ. «მაჰმადიანურ კავშირს», 6 კი «მაჰმადიანურ შრომის ჯგუფს». პირველი ჯგუფი უახლოვდებოდა კადეტებს და კიდეც ჰქონდათ მათთან კავშირი, მეორე უახლოვდებოდა «შრომის ჯგუფს», მაგრამ ეროვნული მოსაზრებებით არ შედიოდა მათ კავშირში. ორივე ჯგუფი იყო ნაციონალისტური, მხურვალედ იბრძოდა თავის ხალხთა რელიგიური თუ ნაციონალური ჩაგვრის წინაამდეგ და მოითხოვდა მათ უფლებრივ გათანასწორებას რუსებთან. 1907 წლის 3 (18) ივნისის კანონი ავიწროებს «ინოროდცების» უფლებებს და სრულიად რიცხავს მთელ თურქესტანს სახელმწიფო სათათბიროდან. ამ მიზეზების გამო მესამე სახ. სათათბიროში ვხედავთ მხოლოდ 9 მაჰმადიან დეპუტატს, მეოთხეში მხოლოდ შვიდს.

დეპუტატებიდან განსაკუთრებით ცნობილია ზემოდ დასახელებული ალი მერდან თოფჩიბაში, ბაქოელი ადვოკატი, დაბადებული ტფილისში 1862 წელს, ქართველი ერის დიდი მეგობარი. ის იყო დეპუტატი პირველი სახელმწიფო სათათბიროსი, ლიდერი «მაჰმადიანური კავშირისა» ამ უკანასკნელში, შემდეგ—1919 წლიდან—თავმჯდომარე დამოუკიდებელი აზერბაიჯანის დელეგაციისა ერთა ლიგასთან. გარდაიცვალა პარიზში 1932 წელს. ცნობილი არიან აგრეთვე: შახ-ხაიდარ სირტლანოვი პირველი და მეორე სახ. სათათბიროდან, მისი შვილი ალი ასჩარ სირტლანოვი მესამედან, სადრი მაქსუდოვი მესამედან, რომელიც 1917 წელში თათართა ეროვნული ყრილობის თავმჯდომარე იყო (ყველა ესენი ვოლგის თურქ-თათრებიდან) და ხალილ ხასმამედოვი (აზერბაიჯანელი) აგრეთვე მესამედან. ყველა ესენი ეკუთვნოდენ «მაჰმადიანურ კავშირს», რომელსაც ემხრობოდენ თვით გასპრინსკი და აკჩურაც. «მაჰმადიანური შრომის ჯგუფიდან» ცნობილია მეორე დუმის დეპუტატი ზეინალოვი (ბაქოდან). მაგრამ ამ ჯგუფის ნამდვილი ხელმძღვანელები იყვენ აიაზ ისხაკი და ფუად ტუქტარი (ორივე ყაზანიდან), რომელთაც მთავრობის რეპრესიების გამო არ შეეძლოთ არჩეული ყოფილიყვენ დეპუტატებად. აიაზ ისხაკი, ცნობილი მხატვრული და პოლიტიკური მწერალი, ითვლება დღეს იდელ-ურალის ეროვნული მოძრაობის უდავო ბელადად. მასზე და მის მეგობრებზე ამბობს პროფესორი ფონ მენდე: «სწორედ ეს სოციალისტები გახდენ რუსის მმართველობასთან ბრძოლის პროცესში ყველაზე უფრო ცხარე ნაციონალისტებიო» (გვ. 98).

1905 წლიდანვე ხდება სრულიად რუსეთის მაჰმადიან ანუ თურქ ხალხთა ყრილობები. ყაზანში მომხდარ მოსამზადებელი კრების შემდეგ იმართება პირველი ყრილობა ნიჟნი-ნოვგოროდში. ბაზრობის დროს (რათა მთავრობის ყურადღება არ მიექციათ) 15 (28) აგვისტოს 1905 წლისა, ვოლგის გემ «გუსტავ სტრუვე»-ზე. ისხაკის რევოლუციონური ჯგუფი, რომელსაც ზომიერი და მოლიბერალო მოღვაწეები მრავალი მოსაზრებით გაურბოდენ (შიში არევდარევის, შიში პოლიციის ჩარევის და სხვ.), ფელიუკით დაეწევა გემს და თითქმის ძალადობით მოიპოვებს ყრილობაში მონაწილეობის უფლებას.

ყრილობას თავმჯდომარეობს გასპრინსკი. პოლიტიკური ხელმძღვანელობა კი თოფჩიბაშის და აკჩურას ხელშია. აი ეს ყრილობა ადგენს სრულიად რუსეთის მაჰმადიანური კავშირის დაარსებას, რაიც კიდეც ხორციელდება მეორე ყრილობაზე, პეტერბურგში 1906 წლის იანვარში. მესამე ყრილობა, რომელიც შესდგა ხელახლა ნიჟნი-ნოვგოროდში იმა-

*) როგორც ვიცით, თურქი ხალხები თითქმის მაჰმადიანებია და პირიქით: რუსეთის მაჰმადიანები თითქმის ყველა თურქ ტომებს ეკუთვნიან. არიან გამონაკლისებიც. მაგ. ჩუვაშები არიან ქრისტიანები და ჩრდილო-კავკასიელ მაჰმადიანებიდან თურქ ტომებს წარმოადგენს მხოლოდ უმცირესობა (ყუმისები, ნოგაიები და ყარაჩაები). მაინც ყველა ეს მაჰმადიანები ერთგვარ ერთობას გრძნობენ.

ვე წლის აგვისტო-სექტემბერში (კვლავ ბაზრობის დროს), ადგენს ვრცელ სასკოლო პროგრამას.

მაგრამ დგება სუსხიანი რეაქცია, რომელიც მძაფრად ზღუდავს კულტურულ-პოლიტიკური მუშაობის შესაძლებლობას. მხოლოდ სახელმწიფო სათათბიროში გაისმის—თუნდაც სუსტად—ჩაგრულ ხალხთა ხმა.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია ხელახლა იძლევა ფართე მუშაობის საშვალებას. უკვე მარტში ხდება სრულიად რუსეთის თურქთა დელეგატების სახელდახელო კონფერენცია პეტერბურგში და მაისში კი სრულუფლებიანი ყრილობა მოსკოვში. ყრილობის წინაშე ძევს ორი რეზოლუცია: ერთი აზერბაიჯანის სახალხო პარტიის «მუსავატის» ახალგაზდა წარმომადგენლის მემედ-ემინ რასულზადესი, რომელიც მოითხოვს რუსეთის თურქ ხალხთათვის ტერიტორიალურ ავტონომიებს; ხოლო მეორე ახმედ სალიკოვის (გათურქებული ლეკი), რომელიც მოითხოვს იმავ ხალხთათვის კულტურულ ავტონომიას. ყრილობა ღებულობს რასულ ზადეს რეზოლუციას 446 ხმით 271-ს წინაალმდეგ. ამით ეყრება საძირკვლები სახელმწიფოებრივ შენობებს.

ბოლშევიკური გადატრიალება რუსეთში აჩქარებს არარუს ერთა დამოუკიდებლობის მისწრაფებას. 1918 წელში ხდებიან დამოუკიდებელი სხვათა შორის მაჰმადიანი ქვეყნები—აზერბაიჯანი, ბუხარა და დაღესტანი. პირველი ორი დამოუკიდებელი რჩება და დაახლოებით ორი წლის განმავლობაში, მესამე ერთი წლის განმავლობაში. ცდები დამოუკიდებელ თუ ავტონომიურ სახელმწიფოთა დაარსებისა საკუთარ თურქისტანში, ვოლგის რაიონში და ყირიმში კიდევ უფრო ადრე იქნენ სისხლში ჩახრჩობილი ბოლშევიკური თუ თეთრი რუსეთის მიერ.

1921 წლიდან, მას შემდეგ რაც ჩაქრობილ იქნა ბუხარის აჯანყება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ენვერ ფაშა, უკვე ყველა აღნიშნული თურქული ქვეყანა,—ისე როგორც უკრაინა, ბელორუსია, საქართველო და სომხეთი—სავსებით წითელი მოსკოვის უღლის ქვეშ იმყოფებიან.

მოსკოვი ანაწილებს თურქისტანს და იდელ-ურალს მთელ რიგ «საკავშირო» და «ავტონომიურ» რესპუბლიკად. ის ავითარებს ადგილობრივ კილოკავებს (უზბეკურს, თურქმენულს, ყირგიზულს, ყაზახურს, თათრულს, ბაშკირულს, ყირიმულს, ყუმისურს, აზერბაიჯანულს და სხვ.) როგორც დამოუკიდებელ ენებს. რუსი ელემენტების ჩასახლება და საერთოდ რუსიფიკატორული პოლიტიკა სრულ მსვლელობაშია. დამახასიათებელია, რომ მთელ საბჭოთა კავშირში დღემდისაც არ არის არც ერთი უნივერსიტეტი თურქულ ენაზე ან თუნდაც ერთ-ერთ თურქულ კილოკავზე. ცნობილი ბოლშევიკური ეკონომიური პოლიტიკის კატასტროფიული შედეგები (მაგ. ყაზახისტანის ცნობილი მესაქონლეობის თითქმის სრული განადგურება) და ექსპლოატაცია აგვირგვინებენ ჩაგრულ ხალხთა უბედურებას. მთელ რიგ რაიონში მოსახლეობას მუსრი ევლება. ხალხის უზომო გამწარება თავს იჩენს ხან თავგანწირულ აჯანყებებში, როგორიც არის ცნობილი «ბასმაჩების» მოძრაობა, ხან კიდევ სხვადასხვა ნაციონალურ გადახრებში თვით კომუნისტური პარტიის წიაღში, რასაც ისეთივე შედეგი ყვება, როგორსაც საქართველოშიც საკმაოდ ვიცნობთ...

საით მიდის საბჭოთა კავშირის თურქ ხალხთა საერთო განვითარება?

ყველა ამ ხალხებისგან, რომელნიც გეოგრაფიულად დაფანტულნი არიან და რომელთა გაერთიანებას სახელმწიფო აპარატი არა თუ ხელს არ უწყობს, არამედ თავიდანვე სასტიკად ებრძვის, ერთი მთლიანი ერის შექმნა პროფ. ფონ მენდეს მეტად საძნელო საქმედ მიაჩნია. მაგრამ მეორე მხრით ისეთ დანაწილებასაც, როგორსაც ბოლშევიკები ცდილობენ, ისინი ავტორის აზრით ვერ შესძლებენ. მაგალითად მიუხედავად ბოლშევიკების ყოველმხრივი ცდისაგანამტკიცონ ბაშკირული ენა, ეს აშკარად უთმობს ადგილს თათრულ ენას, რომელიც ლამობს გადაიქცეს იდელ ურალის თურქ-თათარ ტომთა საერთო ენად.

ამრიგად, ავტორის აზრით, განვითარება მიდის რამდენიმე დიდი ნაციონალური ერთეულების შექმნისაკენ: ცენტრალურ აზიაში, ვოლგა ურალის რაიონში და აზერბაიჯანში. ავტორის აზრს აზერბაიჯანის მომავალზედ ჩვენ უკვე შევეხეთ.

როგორც ვხედავთ, ახალგაზდა გერმანელ მეცნიერის წიგნი იძლევა მეტად ძვირფას მასალას საბჭოთა კავშირის თურქ ხალხთა წარსულის და მათი დღევანდელი პრობლემების შესასწავლად.

ნ. ი.

## წერილი ამერიკიდან

აქაურ ჟურნალ «სატარდეი ივნინგ პოსტის» მარტის ნომრებში დაიბეჭდა საინტერესო ბიოგრაფია ვილიამ ბულიტისა, რომელიც ეხლა შეერთებულ შტატების ელჩია საფრანგეთში.

მკითხველს ალბად მოეხსენება, რომ ის პირველი ამერიკელი ელჩი იყო მოსკოვში საბჭოების ცნობის შემდეგ. იქ დიდი ზეიმით იყო მიღებული. მას პირველ ხანებში მიმოსვლის და მდგომარეობის გაცნობის თავისუფლება ჰქონდა საბჭოთა ქვეყანაში, რადგან კრემლის მიერ ითვლებოდა მეგობრად და «თანამოაზრედ» (ბ. ბულიტი ორჯერ იყო უწინ ნამყოფი მოსკოვში). მაგრამ დროთა განმავლობაში ქვეყნის მდგომარეობამ და მართველობის მოქმედებამ თვალები აუხილა, მეგობრობა გაცივდა და, როგორც ბიოგრაფიის ავტორი ჯაკი ალექსანდერ ამბობს, ორივე მხარემ სიამოვნებით ამოიხვნეშა, როცა ელჩმა დატოვა უტოპიის ქვეყანა. ბულიტს განსაკუთრებით აწუხებდა ძველი ბოლშევიკების განიავება, ვისაც წინედაც იცნობდა...

ბევრ ხანს ვერ გაჩერდა მისი მოადგილე ელჩიც იოსებ დევისი, რომლის ადგილი ათ თვეს იყო ცარიელი და ამ ობსტრუქციის საპასუხოდ საბჭოების ელჩი ტროიანოვსკიც ვაშინგტონიდან გამოძახებული იყო და მოსკოვში შეჩერებული. ახლა ამერიკის ელჩად მოსკოვში დანიშნულია ლაურენსი სტეინჰარდტ...

მაგრამ დაუბრუნდეთ ბატონ ბულიტს. საინტერესოა მისი შფოთიანი წარსული, მისი «ინტელექტუალური მოუსვენარობა». მიუხედავად სიმდიდრისა (ის მილიონერია) მას ცხოვრება დაუწყია დაბალ საფეხურიდან; ღებულობდა მხოლოდ ათ დოლარს კვირაში, როცა უმნიშვნელო კორესპონდენტად მუშაობდა ფილადელფიის ერთს გაზეთში, სადაც მალე რედაქტორი გახდა. აქიდან იწვევენ ვაშინგტონში და ინიშნება საგარეო მინისტრის თანაშემწედ. ვაშინგტონიდან 27 წლის ბულიტი მიდის პრეზიდენტ ვილსონთან პარიზში ზავის კონფერენციაზე როგორც ატაშე. იქ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო თანამდებობა დაეკისრება. დგება ბიუროს სათავეში, რომელიც აგროვებს ყოველგვარ ცნობებს ყოველ ქვეყნიდან კონფერენციის შესახებ: ვინ რას სწერდა და ვინ რას ამბობდა. ამ მასალას ბულიტი აწოდებდა ამერიკის დელეგაციას...

ვილსონის გარდა მას უხდებოდა მუშაობა ისეთ პირებთან, როგორიც იყვნენ კლემანსო, ბრიანი, ლოიდ ჯორჯი, ასკვიტი, პადერევსკი, ორლანდო, სონინი, ვენიზელოსი, ბარონ მაკინო და სხვები...

თავის სამუშაოს გარკვევაში ბულიტს ხელს უწყობდა მისი ცოდნა ევროპიულ ქვეყნებისა, სადაც ის ხშირად მოგზაურობდა პატარაობიდან. პირად იცნობდა ევროპის ბევრ პასუხისმგებელ პირს, ვისთანაც ახლა მიწერ-მოწერას მართავდა ან პირადაც ხვდებოდა, რაც ძალიან სასარგებლო იყო კონფერენციისთვის.

ჩვენთვის საინტერესოა ერთი მოვლენა, რომელიც ბიოგრაფიაში არის ჩაქსოვილი და რომელიც ეხება ან, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ეხებოდა მაშინ როგორც ჩვენს სამშობლოს ისე სხვა ერებს, დღეს რომ მოსკოვიტების ფეხქვეშ არიან.

როცა ზავის კონფერენციის მუშაობა გაჩაღებული იყო, მაშინ რუსეთის ყოველ კუთხეში მძვინვარებდა სამოქალაქო ომი. ბოლშევიკები ებრძოდენ როგორც კოლჩაკს ისე ევროპის ინტერვენციის ძალას.

კონფერენციას არ უნდოდა ბოლშევიკებთან ერთად სხდომა, მაგრამ ზოგი წევრი საჭიროდ ცნობდა, რამე ნაირად დამოკიდულება გამართულიყო, რადგან ყველა შიშობდა, ბოლშევიზმი მათ ქვეყნებს არ მოდებოდა. ათის მიერ შემდგარმა თათბირმა მოიწონა ვილსონის აზრი, რომ მოეწვიათ ბოლშევიკების წარმომადგენელნი ნეიტრალურ ადგილზე და ასეთად არჩეული იყო კუნძული პრინკიპო. მაგრამ საფრანგეთმა უარჰყო ეს წინადადება. იმ დროს წითლების ნახვაც არ უნდოდა.

მაშინ ამერიკელ რადიკალურმა ჟურნალისტმა ლინკონ სტეფენსმა ვილსონის დელეგაციას ურჩია, გაეგზავნათ განსაკუთრებული ფარული მისია მოსკოვში მდგომარეობის დასაზვერად და გასაცნობად (რადგან ნამდვილად რუსეთის მდგომარეობა არავინ იცოდა), და იმ უფლებით, რომ მისიას ნება ჰქონოდა წინდაწინ მოლაპარაკების გამართვის იმ ფრაქციებთან, რომელნიც ქვეყანას სათავეში უდგენ.

ეს აზრი მოუწონებიათ ამერიკის და ინგლისის დელეგატებს და სხვებისთვის არ გაუმჟღავნებიათ, სანამ რამე დამაკმაყოფილებელი შედეგები არ გამოვიდოდა. მისიის უფროსად დაუნიშნავთ ვ. ბულიტი. ლოიდ ჯორჯს სამხედრო გემიც მიუძღვნია სამგზავროდ, მაგრამ ბულიტს არ უსარგებლია.

მოსკოვში ჩასვლისას (1919 მარტის ბოლო რიცხვებში) ბულიტს ჰქონია ხანგრძლივი კონფერენციები ლენინთან, ტროცკისთან, ჩიჩერინთან და ლიტვინოვთან.

«საოცარ პირობებზე დათანხმდენ რუსები, თუ ლენინს ჰქონდა გულში მათი ასრულება» ო, ამბობს ავტორი: თუ რუსებს მისცემდენ სესხს და ინტერვენციონისტები მოხსნიდენ ბლოკადას. ლენინი თანახმა იყო, საბჭოების გავლენა განესაზღვრა მხოლოდ მოსკოვით და პეტროგრადით და მისი მიდამოებით; ოპოზიციონურ მთავრობებისთვის დაეთმო (ვისაც რა ეჭირა) მურმანსკი, არხანგელსკი, უკრაინა, ციმბირი და კავკასია. ვადა ამ საქმის მოგვარების და პასუხის მიცემისა ყოფილა ათ აპრილამდე.

ბულიტი საჩქაროდ დაბრუნებულა პარიზში. სანამ პრეზიდენტ ვილსონს ინახულებდა, დაპატიჟებული ყოფილა ლოიდ ჯორჯის მიერ საუზმეზე. როცა ბულიტს უამბია მდგომარეობა—, ბრიტანეთის პრემიერს უთქვამს: «ეს ძალიან მნიშვნელოვანი არის»-ო და დაუმატებია: «მაგრამ მე არ შემიძლია ამ საქმეს გაუძღვე, რადგან ბრიტანეთის პრესა და საზოგადოებრივი აზრი სასტიკად წინაამდეგია წითელების; თუ ვილსონი გაუძღვება, მე დავეხმარები»-ო. დათანხმებულა ორლანდოც, კლემანსოზე «მუშაობა» ლოიდ ჯორჯს აუღია თავის თავზე.

ამით გათამამებული ბულიტი გამგზავრებულა ვილსონთან, მაგრამ ვილსონს უკვე გაეგო, რომ ბულიტს პირველად ლოიდ ჯორჯი ენახა და ამით გაჯავრებულს არ მიუღია ბულიტი. ყოველ ცდას უნაყოფოდ ჩაუვლია. ვილსონის თავმოყვარეობა იმდენად შელახულა, რომ მის მერე ხმაც არ გაუცია ბულიტისთვის... ლოიდ ჯორჯს ურჩევია ბულიტისთვის, რომ მას მისი ცნობები გამოექვეყნებია, მაგრამ ამისთვისაც ვილსონს ხელი შეუშლია...

თავის მისიის ფიასკოს ბულიტი ძალიან დაუღონებია. მას არ მოსწონებია აგრეთვე ზავის პირობები, რომლის წაკითხვაზე წამოუძახია: «ეს ზავი არ არის, მე აქ ვხედავ არა ნაკლებ თერთმეტი ომისათ; ჩვენ არ შეგვიძლია მოვაწეროთ ამას ხელი»-ო. ამაზე ვილსონის მდივანს კოლონელ ჰოუს უპასუხია, რომ მართალია, ზავი გლახაა, მაგრამ როცა ერთა ლიგა გამაგრდება, მას მოუარსო...

ვილსონის მოქმედების უკმაყოფილო ბულიტს თანამდებობისთვის თავი დაუნებებია და შესაფერი წერილი გაუგზავნია ვილსონისთვის (17 მაისის 1919 წლის თარიღით). საინტერესოა ეს წერილი, რადგან ბევრი წინასწარმეტყველობა სრულდება. მოვიყვანთ ადგილებს: ... «მე მეგონა, რომ თქვენ დათანხმდებოდით მხოლოდ სამუდამო ზავზე», სწერს ბულიტი ვილსონს: რომელიც იქნებოდა დაყრდნობილი სამართალზე. მაგრამ ჩვენი მთავრობა დათანხმდა იმაზე, რომ გადაეცა ტანჯული ხალხები ახალი მჩაგვრელებისთვის, ახალი დამამონებელებისთვის და დასაკუწმაწებლად—ახალი საუკუნო ომებისა... რუსეთის

კითხვა არც კი გაგონილა... უსამართლო გადაწყვეტილება კონფერენციის შესახებ შანტუნგის, ტიროლის, უნგრეთის, აღმოსავლეთი პრუსიის, დანციგის, საარის და უარყოფა ზღვების თავისუფლების პრინციპისა უეჭველად დაბადებს ახალ ინტერნაციონალურ კონფლიქტებს. ჩემი რწმენა არის, რომ ახლანდელი ერთა ლიგა უძლური იქნება, შეაჩეროს მომავალი ომები და შეერთებული შტატები ჩათრეულ იქნება ლიგის მოვალეობით და საფრანგეთთან განსაკუთრებულ განწყობილებით. მაშასადამე მოვალეობა შეერთებულ შტატების მთავრობისა მისი ხალხისა და მთელი კაცობრიობის მიმართ არის უარყოფა ამ ზავისა და უარყოფა ერთა ლიგისა... ცნობილია, რომ თქვენ პირად წინაამდეგი იყავით უსამართლო გადაწყვეტილებების უმრავლესი ნაწილისა და მიიღეთ მხოლოდ გარეშე ძალის დატანებით... მაგრამ თქვენ რომ შებრძოლებოდით და ბრძოლა გამოგეტანათ კონფერენციის ჩაკეტილი კარებიდან, მთელი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი თქვენ გამოგყვებოდათ, რადგან ის უკვე თანაგიგრძნობდათ. და შესაძლებელია, დაგემყარებიათ ახალი ინტერნაციონალური წყობილება დაფუძნებული უფლებისა და სამართლის საერთო პრინციპზე, რომელზეც თქვენ ლაპარაკობდით... სამწუხაროდ თქვენ ბოლომდის ვერ იბრძოლეთ, რადგან არ გქონდათ რწმენა სხვა და სხვა ერების მილიონებ ადამიანებისა, რომელთაც თქვენი იმედი ჰქონდათო...»

ბულიტი შეერთებულ შტატებში დაბრუნდა და მოგზაურობას შეუდგა. მაგრამ სენატმა არ დააცალა. უწყებით დაკითხვაზე მოიწვია, როგორც ზავის კონფერენციის წევრი. მისმა აზრმა დიდი როლი ითამაშა: სენატმა უარყო ზავის დადასტურება და ერთა ლიგაში შესვლა...

ვილსონი დამარცხდა კონფერენციაზე. რამდენად მაღალი და იდეალური იყო მისი აზრი ზავის წინედ, იმდენად ფუჭი და უშედეგო გამოდგა მისი მუშაობა.. კლემანსომ და ლოიდ ჯორჯმა ვილსონის იდეალები გაანიავეს, გაიტანეს ლელოზე ახლად შექმნილი ქვეყნის რუკა, რომელიც დღეს ტრაღიკულად იმსხვრევა. პარიზში ვილსონი დამარცხდა. დამარცხდა აგრეთვე ამერიკაში. კონგრესმა მხარი არ დაუჭირა. ვილსონი შეებრძოლა საზოგადო აზრის მოგებით, მაგრამ გულგატეხილი, დაავადმყოფებული მალე, ამ ბრძოლაში გარდაიცვალა...

. . .

სენატორთა შორის ვაშინგტონში ასეთი დახასიათება დადის ყოველნაირი «იზმისა».

სოციალიზმი:—თუ შენ გყავს ორი ძროხა,—მიეცი ერთი შენ მეზობელს.

კომუნიზმი:—მიეცი ორივე შენი ძროხა მთავრობას და მთავრობა მოგცემს უკან ცოტა რძეს.

ფაშიზმი:—შენ დაიკავე ორივე ძროხა, მაგრამ მიეცი მთელი რძე მთავრობას, რომელიც მოგყიდის უკან ცოტას.

ნიუ დილიზმი (ახალი რეკონსტრუქციის ერა ამერიკაში):—დაკალი ერთი ძროხა, მოწველე მეორე და რძე გადაღვარეო...

ნაური.

## კაპიტანი დავით ჩხეიძე

8 თებერვალს, ცოტა ხნის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზდა კაპიტანი დავით ჩხეიძე, ერთად-ერთი შვილი გენერალ ალექსანდრე ჩხეიძისა. უკანასკნელს მეორე შვილიც ჰყავდა, ისიც ოფიცერი, და გარდაიცვალა 1927 წელს. მიზეზი ორთავე შემთხვევაში ალღუმზე გაცივება და ანთება იყო. ორივენი ეკუთვნოდენ ცხენოსან ნაწილებს და იყვნენ განთქმული პოლონეთის ჯარში. კაპიტანმა დავითმა მაღალი სამხედრო განათლება მიიღო და ჰქონდა ჯილდოებიც. თავისი სიმამაცით ორივე ძმამ თავი ისახელეს ჯერ კიდევ საქართველოში, წითელი რუსეთის თავდასხმის დროს. მათი დაკარგვა დიდი დანაკლისია ჩვენი მცირერიცხოვან მხედრობისათვის, მაგრამ გაუბედურებულ მშობლებისთვის ხომ აუტანელი. ჩვენი რედაქცია უცხადებს მათ თავის ულრმეს თანაგრძნობას.

## უკრაინული კონცერტი

შაბათს 13 მაისს «Salle Lafayette»-ში

(27, rue de Petit hôtels. მეტრო გარ დუ ნორდ)

უკრაინელების კომპოზიტორი, ჩვენი კარგი მეგობარი და ქართული გუნდის მწრთვნელი და ხელმძღვანელი გ. პონომარენკო მართავს კონცერტს, შეასრულებს თავის ნაწარმოებს. შესვლა 5 და 10 ფრ.

## განცხადება

ქართული ოფისი სთხოვს საფრანგეთში მცხოვრებ ორივე სქესის ქართველებს 15 წლის ზევით დაუყონებლივ უპასუხოს მას შემდეგ კითხვებზე:

1) სახელი და გვარი.
2) როდის ჩამოვიდა საფრანგეთში.
3) რამდენი წლის არის.
4) რა განათლება აქვს მიღებული.
5) რა ხელობა აქვს ნასწავლი.
6) რა სამუშაოს ასრულებს დღეს.
7) თუ უმუშევარია—რამდენი ხანია, რომ დახმარებას (შომაჟს) ღებულობს.
8) როგორია ოჯახური მდგომარეობა.
9) სწორი მისამართი.
10) რა და რა ენა იცის.

Office Géorgien
38, rue Boileau 38. Paris (16)

გაზეთისათვის დასაბეჭდი მასალები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r PIRTSKALAVA.
10. rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuville.*

Le Gérant : J. DUCROS

Ð-1206